ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

**გოჩა ვეფხვაძის მკვლელობის მცდელობისთვის პოლიცია დათო რუსიას, ვაჟა ოჩიგავასა და კიდევ 3 პირს ეძებს**



გვ.5

**8 ოქტომბრიდან**

საქართველოს ისტორია პატარებისთვის

**თამარს უამბო დედამა**

წიგნი II

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



პარასკევი, 11 ოქტომბერი, 2019 №241 (8195) ფასი: 60 თეთრი

# ლევან ხაბეიშვილი: „მხოლოდ ივანიშვილმა იცის, ვის დაიჭერენ და ვის გამოუშვებენ“



გვ.3

**„მართლა მელია ხომ არ ჰგონიათ, სახლში რომ დააბეს!“**

ოქრუაშვილი რატომ ზის ციხეში, ვინმე იცის?! თუ იცით, მეც გამაგებინეთ. ან ზვიად კუპრავა რატომ ზის თვეობით? ეს არის ტყვეობა! ამ ქვეყანაში არ შეიძლება, სამართალსა და სამართლიანობაზე ილაპარაკო.



გვ.3

## „მამუკა ხაზარაძე „ოცნებისთვის“ სერიოზული საფრთხე ხდება“

ნიკა ჩიტაძე: „მელიას სამაჯური აქტიურობისთვის დაადეს, ოქრუაშვილი კი რუსთავი 2-ის გამო დაიჭირეს“

## „ტაქსის ფერი შეიცვალა, მგზავრობის ფასი გაიზარდა, მაგრამ ხარისხი უცვლელი დარჩა“



გვ.4

დავით მესხიშვილი: „თვითდასაქმებული ტაქსისტები გავლენ და ტაქსების ბიზნესის მონოპოლიას მივიღებთ“

## „ოცნების“ დაშლის პროცესი უფრო გაღრმავდება“



გვ.3



გვ.4

## გიგა ბუკია: „გიორგი მიქაუტაძემ სააკაშვილის დროს ბინა წაართვა“

## გიორგი გახარია: „11 ოქტომბრიდან დავითგარეჯის ეკლესიები ქართული სამღვდელოებისთვის გაიხსნება“



გვ.2

**სამართალი** გვ.5



## ლეილა მუსტაფაევამ გერმანიაში პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო



## სროლა მარნეულის ჩაიხანაში

2 ადამიანი დაიჭრა



## მიცკევიჩზე მანქანა მოტოციკლს დაეჯახა



2

**ალეკო ელისაშვილს ცრუ ინფორმაციის საჯარო უარყოფა დაევალა**

„რუსთავი 2-ით უნდა უარყოს 2015 წელს ნათქვამი სიტყვები“

ISSN 1987-9385



2

**საქართველოში 6 თვეში 207-მა ადამიანმა თავი მოიკლა**



6

**თურქეთის არმიის სირიაში შეჭრას მსოფლიოში კრიტიკა მოჰყვა**



7

**ლევან კობიაშვილმა ტორპედოს ფეხბურთელებს ერთი თვის ხელფასი გადაუხადა**

# გიორგი გახარია: „11 ოქტომბრიდან დავითგარეჯის ეკლესიები ქართული სამღვდელოებისთვის გაიხსნება“

11 ოქტომბრიდან დავითგარეჯში არსებული ეკლესიები ქართული სამღვდელოებისთვის გაიხსნება.

ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ გუშინ, 10 ოქტომბერს, მთავრობის სხდომაზე განაცხადა. პრემიერმა ხაზი გაუსვა, რომ ეს პრობლემა ორი ქვეყნის ნაციონალური ინტერესების, ისტორიული მემკვიდრეობისა და ეკლესიის ინტერესების გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს.

– ჩვენ გვერდს ვერ ავუვლიდით ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიც არის დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი. ყველას მოგვეხსენება, რომ სამწუხაროდ, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არის გარკვეული საზღვრის მონაკვეთები, რომლებიც არ არის დადგენილი, ეს არის ჩვენი პოსტსაბჭოთა მემკვიდრეობა და 25 წელია, ეს პრობლემა ვერ მოგვარდა.

ბატონმა პრეზიდენტმა ალიევმა ბრძანა, რომ ჩვენ გვაქვს ისტორია და გეოგრაფია, რომელიც გვაკავშირებს. რა თქმა უნდა, მე სრულად შემიძლია, ამას დავეთანხმო, რამეთუ მეგობრებსა და პარტნიორებს ისტორია და გეოგრაფია კი არ ყოფს, არამედ, აკავშირებს.

სწორედ ამ საფუძველზე, ამ ფუნდამენტზე ჩვენ გვქონდა აბსოლუტურად ღია საუბარი



მიმდინარე პრობლემებზე და როგორც შედეგი, შემიძლია გითხრათ, რომ ხვალიდან ქართული სამღვდელოებისთვის კომპლექსის ფარგლებში არსებული ეკლესიები გაიხსნება და შესაბამისად, ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად ამ მიმართულებით უნდა გვქონდეს სერიოზული პროგრესი.

ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ეს პრობლემა უნდა გადაწყდეს ორი ქვეყნის ნაციონალური ინტერესების გათვალისწინებით, ისტორიული მემკვიდრეობისა და ეკლესიის ინტერესების გათვალისწინებით. ეს არის ჩვენი მიდგომის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი.

ასევე მინდა მოგმართოთ, რომ ჩვენს მოქალაქეებს გვმართებს პასუხისმგებლობა და სიფრთხილე ყოველი ნაბიჯის, სიტყვის კონტექსტში და ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ სამშობლოს სიყვარული და პატრიოტიზმი არ ნიშნავს ფსევდოპატრიოტულ გამოხდომებს, გამონათქვამებსა და გაუაზრებელ ნაბიჯებს. ეს არის მიდგომა, რომელიც ამ მიმართულებით უნდა გვქონდეს და უნდა გავატაროთ, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

პრემიერის განცხადებას გუშინვე გამოეხმაურა საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე.

– ველოდებით, რომ სტატუსკვო სრულად აღდგება და ეკლესიის მსახურები მრევლთან ერთად შეძლებენ ასვლას ჩვენს წმინდა სალოცავში, – უთხრა მან ინტერპრესნიუსს.

დეკანოზმა ისაუბრა აზერბაიჯანული მხარის მიერ ქართული სამღვდელოებისთვის დავითგარეჯის კომპლექსის ფარგლებში არსებული ეკლესიების გახსნაზე და აღნიშნა, რომ პროცესი უნდა გაგრძელდეს.

– ყველაზე მთავარი არის ის, რომ შემდგომი ნაბიჯებიც ასეთივე პრინციპულობით უნდა გადაიდგას. მნიშვნელოვანია, რომ ეს ყველაფერი გაკეთდეს ურთიერთპატივისცემითა და კეთილმეზობლური განწყობების ფონზე, რომ საღმა აზრმა გაიმარჯვოს და ისტორიულ სამართლიანობას არ მიადგეს ჩრდილი.

ველოდებით, რომ სტატუსკვო სრულად აღდგება და ეკლესიის მსახურები მრევლთან ერთად შეძლებენ ასვლას ჩვენს წმინდა სალოცავში. რა თქმა უნდა, ტურისტებიც, – ეს იქნება სტატუსკვოს აღდგენა, – განაცხადა ჯაღმაიძემ.

მანვე აღნიშნა, რომ საპატრიარქო მიესალმება როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას მხრიდან აქტიურ ჩართულობას, ასევე, აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევის პოზიციასაც.

– მივესალმებით პრემიერის ასეთ აქტიურად ჩართვას ამ პროცესში, ასევე მივესალმებით აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევის კეთილმეზობლურ განწყობასა და პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებულ პოზიციას.

ძალიან მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ახალი კომისიის წევრების პრინციპული და პროფესიონალური დამოკიდებულება საკითხისადმი, განსხვავებით ძველი კომისიისგან და ველით, რომ ეს ახალი კომისია შეძლებს, სრულყოფილად წარმოაჩინოს სიმართლე. მადლობას ვუხდით ყველას, ვინც მიიღო ამაში მონაწილეობა, – განაცხადა დეკანოზმა ანდრია ჯაღმაიძემ.

# ალეკო ელისაშვილს ცრუ ინფორმაციის საჯარო უარყოფა დაევალა

## „რუსთავი 2-ით უნდა უარყოს 2015 წელს ნათქვამი სიტყვები“



ეკა ბესელიასა და ალეკო ელისაშვილს შორის სასამართლო დავა დასრულებულია. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ალექსანდრე ელისაშვილის საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩა, შესაბამისად, ძალაშია პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, ელისაშვილს ცრუ და ცილისმწამებლური ინფორმაციის საჯარო უარყოფა დაევალა.

საქმე ეხება ჯერ კიდევ 2015 წელს რუსთავი 2-ის ეთერში ალეკო ელისაშვილის მიერ გაჟღერებულ სკანდალურ ბრალდებებს.

– საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა სამივე ინსტანციის სასამართლოს, რომ ეღიარებინა ალეკო ელისაშვილის ცრუ და ცილისმწამებლური განცხადებები ჩემი მისამართით. რუსთავი 2-ის ეთერით მოუწევს მას, უარყოს ის, რაც თქვა რამდენიმე წლის წინ, – უთხრა კურიერს ეკა ბესელიამ.

საქმე ეხება განცხადებებს, რომლებიც ელისაშვილმა ტელეარხ რუსთავი 2-ის ეთერით გადაცემა „არჩევანში“ 2015 წლის 22 დეკემბერს გააკეთა. დეპუტატი ამტკიცებდა, რომ იმ პერიოდში, როდესაც ის 2013-2014 წლებში საქართველოს პრეზიდენტთან არსებულ შეწყალების კომისიას ხელმძღვანელობდა, ბესელია და პარლამენტის ვიცესპიკერი, საკონსტიტუციო სასამართლოს ამჟამინდელი მოსამართლე მანანა კობახიძე „კოკაინის საქმის“ ფიგურანტებისადმი არაჯანსაღ ინტერესს იჩენდნენ და მათი გათავისუფლებით იყვნენ დაინტერესებული.

# „ავთო შარვაძის მეუღლეამ გამოსახლების წინ თავი მოიწამლა“



ცნობილი ქართველი კომპოზიტორის ავთო შარვაძის ქვრივმა თინა იმნაძემ გამოსახლების წინ თავი მოიწამლა. ის თვითმკვლელობით ჯერ კიდევ 9 ოქტომბერს იმუქრებოდა.

ამის შესახებ თინა იმნაძის მეზობელი, მოდელი ლიკა ქორქია სოციალურ ქსელში წერს:

„დღევანდელმა დღემ ასე ჩაიარა, უმძიმეს მდგომარეობაში მყოფმა ავთო შარვაძის მეუღლემ გამოსახლების წინ თავი მოიწამლა, სასწრაფომ ძლივს გადაარჩინა და არ ტოვებს დანიშნულების ადგილს, თვითონ ამ ეტაპზე გონზე არ არის, აღმსრულებლები ელოდებიან გამოღვიძებას, რომ გარეთ გაიყვანონ და დააწვინონ ქუჩაში!

ეს ის ქვეყანაა, ბინებიდან გამოსახლებები აღარ იქნებაო, რომ დაგვპირდნენ, ის ქალაქია, სადაც მერია თავის მოქალაქეებზე, რომლებიც თაღლითური სქემის მსხვერპლნი არიან, ყოველგვარ ვალდებულებას იხსნის.

მოსყიდული მოსამართლეების ქვეყანა, სადაც ყიდულობ მოსამართლეებს, როგორც პროდუქტს მარკეტში.

მოკლედ, ამ დროს, როცა აცნობიერებ, რომ შენც შეიძლება ხვალ ვიღაც მოგადგეს და გითხრას, შენი სახლი ჩემიაო და როცა ხვდები, რომ არავინ არ გყავს ამ ქვეყანაში პატრონი, ბოლო იმედს ეჭიდები“.

# საქართველოში 6 თვეში 207-მა ადამიანმა თავი მოიკლა

სახალხო დამცველმა ნინო ლომჯარიამ საქართველოში სუიციდის სტატისტიკაზე ჟურნალისტებთან ისაუბრა.

მისი თქმით, 2018 წელს სუიციდის 389 და მცდელობის 477 ფაქტი მოხდა, ხოლო 2019 წლის 6 თვის განმავლობაში 219 ადამიანმა სცადა თვითმკვლელობა, 207-მა კი სიცოცხლე სუიციდით დაასრულა.

– ფსიქიკური ჯანდაცვა ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური სფეროა საქართველოში და მიუხედავად იმისა, სახელმწიფომ აღიარა, რომ უნდა ჰქონდეს შემუშავებული სუიციდის პრევენციის პროგრამა, ჩვენს ქვეყანას ასეთი პროგრამა არ აქვს, – განაცხადა ლომჯარიამ.

სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ ფსიქიკური პრობლემები ძალიან ხშირად ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედებით არის გამოწვეული.

– სამწუხაროდ, ფსიქიკური ჯანდაცვის საკითხები მხოლოდ მაშინ გვახსენდება, როდესაც გარკვეული შემთხვევები ძალიან ტრაგიკულად სრულდება, სხეულის დაზიანებით ან უფრო მძიმე შემთხვევებით. ფსიქიკური ჯანდაცვის სფეროში, გარკვეულწილად, ბოლო წლებში საბიუჯეტო დაფინანსება იზრდება, მაგრამ ძირითადად ეს თანხები მიემართება ინფრასტრუქტურული და სარეაბილიტაციო სამუშაოებისკენ.

გარკვეულ სტაციონარულ-ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ნამდვილად გაუმჯობესდა ვითარება, თუმცა ეს არის ძალიან მინიმალური და არასაკმარისი იმ გამოწვევებისთვის, რომლებიც ამ სფეროში არსებობს, – განაცხადა სახალხო დამცველმა.

მისი თქმით, პრობლემატურია ფსიქიკური და ჯანდაცვითი პრობლემების იდენტიფი-



ცირება ადრეულ ეტაპზე და მათი მკურნალობა.

– ჰოსპიტალიზაციის შემდეგ მკურნალობაში შარშან პაციენტთა მხოლოდ 37% ჩაერთო. ეს არის ის დარგი, რომელსაც ნაკლები ყურადღება ეთმობა სახელმწიფოს მხრიდან, – აღნიშნა სახალხო დამცველმა.

მისივე შეფასებით, სახელმწიფოში არ არსებობს გამართული კოორდინაცია ნარკოლოგიურ ან ფსიქიატრიულ დაწესებულებებს შორის.

– ხშირად პაციენტს, რომელსაც ამ ნიადაგზე ფსიქიკური პრობლემები განუვითარდა, დროულად ვერ ეხმარებიან, რადგან ერთი მხრივ, ნარკოლოგიურ დაწესებულებებში არ აქვთ სათანადო შესაძლებლობები, რომ ფსიქიატრიული მიმართულებით უმკურნალონ, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში კი ნარკოლოგიური პაციენტების მართვის უნარები არ აქვთ, – განაცხადა ნინო ლომჯარიამ.

10 ოქტომბერს ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო დღე აღინიშნა.

წელს ფსიქიკური ჯანმრთელობის საერთაშორისო დღე სუიციდის პრევენციას მიეძღვნა.

# გიორგი გაბუნიას პროკურატურაში გამოკითხვა გადაიდო



სამაუწყებლო კომპანია „მთავარი არხის“ გადაცემა „პოსტ ფაქტუმის“ წამყვან გიორგი გაბუნიას პროკურატურაში გამოკითხვა გადაიდო.

გაბუნია უწყებაში გუშინ, 10 ოქტომბერს, უნდა გამოცხადებულიყო, მაგრამ, მისი თხოვნით, გამოკითხვა გადაიდო.

შეგახსენებთ, გიორგი გაბუნია გენერალურ პროკურატურაში გამოკითხვაზე „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, მისი კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მითვისების და ქონების მოჩვენებითი ან/და თვალთმაქცური გარიგებით გადამალვის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში დაიბარეს.

# პროკურატურამ „ოცნების“ დეპუტატ ილია ჯიშკარიანის საქმეზე სასამართლოს მიმართა



საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ დეპუტატ ილია ჯიშკარიანის საქმეზე სასამართლოს მიმართა.

რას ითხოვს სასამართლოსგან საგამოძიებო უწყება, არ აკონკრეტებენ.

პროცესი თბილისის საქალაქო სასამართლოში დღეს, 11 ოქტომბერს, 12:30 საათზე დაიწყება.

დეპუტატის საქმეს მოსამართლე არსენ კალატოზიშვილი გაუძღვება.

შეგახსენებთ, რომ ისნის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატ ილია ჯიშკარიანს გენერალურმა პროკურატურამ მისი ყოფილი თანაშემწის თამთა თოდაძის ეპიზოდზე ბრალი 9 ოქტომბერს წაუყენა, თოდაძეს კი დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა.

ილია ჯიშკარიანს გამოძიება თამთა თოდაძის მიმართ განხორციელებული სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედებისა და ცემის ფაქტზე ედავება.

# ავარია სოფელ რუხში

## 5 ადამიანი დაშავდა




ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 5 ადამიანი დაშავდა.

სამი დაშავებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურმა ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანა.

როგორც საავადმყოფოში ინტერპრესნიუსს განუცხადეს, ერთ-ერთი დაშავებულის მდგომარეობა მძიმეა.

– მოზარდისა და მამაკაცის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ხოლო ქალის – მძიმე. მას ორივე ბარძაყის ძვლის მოტეხილობა და ტრავმული შოკი აღენიშნება. დაშავებულებს შესაბამისი კვლევები უტარდებათ, – თქვეს საავადმყოფოში.

გამოძიება 276-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს, რაც მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ლევან ხაბეიშვილი: „მხოლოდ ივანიშვილმა იცის, ვის დაიჭერენ და ვის გამოუშვებენ“

## „მართლა მელია ხომ არ ჰგონიათ, სახლში რომ დააბეს!“

ნონა ცაბაძე

გუშინ, 10 ოქტომბერს, სასამართლოში გამართული ნიკა მელიასა და ხაზარაძე-ჯაფარიძის პროცესების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს **ლევან ხაბეიშვილი** პასუხობს.

***– ლევან, საქალაქო სასამართლოში ორი ხმაურიანი პროცესი გაიმართა. მოსამართლემ ნიკა მელიას დარბაზი დაატოვებინა. რა ხდებოდა საქალაქო სასამართლოში?***

– მოკლედ რომ შევაფასოთ, ეს ყველაფერი სამართალთან კავშირში რომ არ არის, ეს ამ დღემაც დაადასტურა. მთავარი პროკურორი თადუმაძე, რომელმაც ბრალი წარუდგინა გინდა მელიას, გინდა ხაზარაძეს, ფაქტობრივად, არაუფლებამოსილი პირი აღმოჩნდა. მას არა აქვს იურიდიული განათლება. უფრო მეტიც, არარსებულ დიპლომში, რომელიც, სავარაუდოდ, ნაყიდი აქვს ამ კაცს, სამიანები უწერია. პრობლემა ის არის, რომ ეს ადამიანი დღეს მთავარი პროკურორია და უფრო მეტიც, ახლა უვადო მოსამართლეობა უნდა უზენაეს სასამართლოში, თორემ არავინ მოიკითხავდა არც მის დიპლომს, არც მის განათლებასა და არც მის თანაკურსელებს.

***– რას იტყვით სასამართლო სხდომასთან დაკავშირებით?***

– რაც შეეხება მელიას სასამართლო პროცესს, ჩვენ, მოქალაქეები, უბრალოდ, ვხმარობთ ამ სიტყვას – სასამართლო, თორემ რეალობაში ჩვენ უკვე დიდი ხანია, სასამართლო სისტემა, ფაქტობრივად, აღარ გვაქვს და ეს არის ერთი კონკრეტული ადამიანის პირად თეატრად გადაქცეული, სადაც მსახიობის ფუნქციებს ასრულებენ მოსამართლეები და არა – რეალური მოსამართლის ფუნქციებს.

ერთი რეჟისორი, ბიძინა ივანიშვილი, არის მთავარი პოლიცმეისტერი ამ ქვეყანაში, პროკურორიც და მოსამართლეც და ჩვენ ყველას გვიწევს ბიძინა ივანიშვილის თეატრში სიარული, სადაც მსახიობად ქცეული მოსამართლე დაყენებული სახით აცხადებს იმ გადაწყვეტილებას, რასაც რეჟისორი ივანიშვილი უბრძანებს.

***– ორი ხმაურიანი პროცესი მიმდინარეობდა საქალაქო სასამართლოში.***

– დიახ, ასევე ხაზარაძის პროცესი, რომელიც ასევე აბსურდია. ხაზარაძეს ედავებიან, რომ საკუთარ თავს მოჰპარა ფული, იმიტომ, რომ ამ საქმეში დაზარალებული არავინ არის.

მე ხაზარაძის დამცველად ნამდვილად ვერ გამოვდგები, მაგრამ ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ცალსახად შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის პოლიტიკურად მოტივირებული საქმე, რაც გულისხმობს იმას, რომ ხაზარაძემ თურმე საკუთარ თავს ფული მოჰპარა, დაზარალებული არ არსებობს, ამაზე შეშფოთებულია პროკურატურა და დაიწყეს გამოძიება. დაახლოებით ამ შინაარსის ბრალი აქვს ამ კაცს.

***– მელიაზე რას იტყვით?***

– საერთოდ ნონსენსია მელიას წინააღმდეგ ბრალის წაყენება, მაშინ როცა გავრილოვი თავად ჩამოიყვანეს ამ ქვეყანაში, თავად დასვეს პარლამენტში და შემდეგ უკვე ხალხი რომ გამოვიდა ქუჩაში, გააპროტესტა და ამ ხალხს ქუჩაში დასდევდნენ იარაღით და თვალები დასთხარეს, თურმე მელია ყოფილა ამაში დამნაშავე.

***– რატომ გამოუშვა მოსამართლემ დარბაზიდან ნიკა მელია?***

– მელია აბსოლუტურად ადეკვატური იყო, როცა მოსამართლეს უთხრა, თქვენ მართლა მოსამართლე და მართლა გადაწყვეტილების მიმღები ხომ არ გგონიათ თქვენი თავიო, თქვენ ხართ ბიძინა ივანიშვილის დავალების შემსრულებელი და, საბოლოო ჯამში, გააკეთებთ იმას, რასაც გეტყვით ბიძინა ივანიშვილი.

ამაზე აღშფოთდა მოსამართლე და ჩაქუჩი დაარტყა მაგიდას, ნიკა მელიამ კი რეპლიკა ესროლა, რომ ეს ჩაქუჩი მოსამართლეს შეუძლია თავში ჩაარტყას მურუსიძეს და ჩინჩალაძეს, რაც ადეკვატური რეაქცია იყო მელიას მხრიდან.

ამის შემდეგ ის მოსამართლემ დარბაზიდან გააძევა.

მართლა გულწრფელია მელია, როცა ის ამბობს, რომ მოსამართლეს მანტიის შიგნით აცვია „ქართული ოცნების“ მაისური. კი, ნამდვილად აცვია! ეს ადამიანები არიან ივანიშვილის დავალების უპირობო შემსრულებლები. ბიძინას მონობა ნიშნავს მოსამართლეობას. ამას კი არც იურისპრუდენციასთან, არც სახელმწიფოსთან კავშირი არა აქვს, ხარ მონა და მორჩა.

ახლაც მორიგი მასკარადი გაიმართა საკონცერტო დარბაზში, რომელსაც ჰქვია სასამართლო. აქ ერთი რეჟისორი დგამს მუდმივად სპექტაკლებს. რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, მით უფრო მძაფრსიუჟეტიანი ხდება ეს წარმოდგენები.



***– ჯაფარიძე და ხაზარაძე აცხადებენ, რომ ეს არის პოლიტიკური ანგარიშსწორება მათ მიმართ. ფიქრობთ, რომ ასეა?***

– მე მათ დამცველად არ გამოვდგები, შეიძლება, არ ვგიჟდებოდე მამუკა ხაზარაძეზე, მისი წარსული ცხოვრებიდან გამომდინარე, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ ვთქვათ, რა არის სამართალი და რა – უსამართლობა.

რა თქმა უნდა, ეს არის პოლიტიკური დევნა ამ ადამიანების მიმართ და ეს მას შემდეგ დაიწყო, რაც ამ ადამიანებმა ბიძინა ივანიშვილის საწინააღმდეგოდ მინიმალური მოძრაობები დაიწყეს. ივანიშვილი ყველაფერს აკეთებს, რომ ველი მოთავისუფლებული ჰქონდეს 2020 წლისთვის. მან კარგად იცის, რომ მორალური მხარდაჭერა აღარ აქვს ხალხში, მისიც არავის აღარაფერი სჯერა. 8 წლის განმავლობაში ქართველმა ხალხმა კარგად ნახა, ის რისი გამკეთებელია. 2020 წელს „ქართული ოცნებისთვის“ უმძიმესი შედეგი ექნება.

***– ხაზარაძეს, ჯაფარიძეს, თუნდაც ნიკა მელიას ჩასვამენ ციხეში?***

– ეს კითხვა საინტერესოა ჟურნალისტებისთვის, საზოგადოებისთვის. რას იზამენ, დაიჭერენ? აი, ამაზე პასუხი არის ურთულესი მარტივი მიზეზის გამო, ჩვენ რომ სამართლებრივ პროცედურებსა და სამართლიან სასამართლოზე ვსაუბრობდეთ, ვივარაუდებდით, რა შეიძლება მოხდეს, მაგრამ ახლა ერთი კონკრეტული გიჟის ხელშია ქვეყანაც და სასამართლო სისტემაც. ეს გიჟი რა ხასიათზე იქნება, იმაზეა დამოკიდებული.

ქვეყანაში, სადაც 50 ათასი ბავშვი შიმშილობს და ეს კაცი ზვიგენებს აჭმევს ასიათასობით ლარის საჭმელს, არა მგონია, რომ ის ჯანსაღი იყოს, თან პარალელურად ხეებს დაატარებდეს აქეთ-იქით. როგორც ეს კაცი გადაწყვეტს, ზუსტად ისე იქნება, მოუნდება, ჩასვამს, მოუნდება, ხაზარაძეს დაიჭერს, მოუნდება – მელიას. ხომ მოუნდა და ოქრუაშვილი დაიჭირა. ძნელია, წინასწარ ივარაუდო ამ ადამიანის ქმედება. ხომ ვხედავთ, აბასთუმანში, ლამისაა, ცა დაიკანონა. მალე ჩიტებსაც აუკრძალავს ფრენას და ამ ადამიანის აზრებს ლოგიკურად ვერ განვჭვრეტთ.

***– ანუ შეიძლება დაიჭირონ?***

– არ ვიცით, ხვალ ვის რა ელოდება, რადგან კარგად ვხედავთ, ვის ხელშია ეს ქვეყანა. ჩვენი ამოცანა უნდა იყოს, რომ რაც შეიძლება უდანაკარგოდ მივიდეთ 2020 წლამდე. ისეთი ადამიანები სხედან დღეს ციხეში, რომ გაოგნებული ვარ, თუნდაც ოქრუაშვილი – ის არც ჩემი პარტიის წევრია და არც მეგობარი, მაგრამ რატომ ზის ციხეში, ვინმე იცის?! თუ იცით, მეც გამაგებინეთ. ან ზვიად კუპრავა რატომ ზის თვეობით?

ეს არის ტყვეობა! ამ ქვეყანაში არ შეიძლება, სამართალსა და სამართლიანობაზე ილაპარაკო. ამიტომ, ვის დაიჭერენ და როდის, კაცმა არ იცის. ივანიშვილს თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა ვუთხრა: რაც მეტად გაწელავთ ამ ზამბარას, ბატონო ბიძინა, მით უფრო მძიმედ მოგხვდებათ ეს ზამბარა ცხვირში.

***– ნიკა მელია სამაჯურის მოხსნის შუამდგომლობის დაყენებას ითხოვდა, მაგრამ მაინც დაუტოვეს.***

– ესეც ხომ ძალიან უხერხულია, დაბმულია კაცი. მთავარი მოტივი ის არის, რომ თურმე ნიკა მელია სადმე გაიქცევა. გაქცევა რომ უნდოდეს, ისე ვერ გაიქცევა?! ან რა აქვს გასაქცევი. რა ამოცანას ასრულებს ეს „ბრასლეტი“, მართლა არ ვიცი, გარდა იმისა, რომ კაცი დაბმული ჰყავთ სახლში.

მართლა მელია ხომ არ ჰგონიათ, პოლიტიკოსი, მთავარი ოპოზიციური პარტიის ერთ-ერთი აქტიური ლიდერი დააბეს სახლში! მის გარდა კიდევ რამდენი ოპოზიციური ლიდერია დაკავებული!

ეს მხოლოდ პუტინის რუსეთში თუ ხდება.

# „მამუკა ხაზარაძე „ოცნებისთვის“ სერიოზული საფრთხე ხდება“

## ნიკა ჩიტაძე: „მელიას სამაჯური აქტიურობისთვის დაადეს, ოქრუაშვილი კი რუსთავი 2-ის გამო დაიჭირეს“

იაგო ნაცვლიშვილი

გუშინ ორი ოპოზიციონერი პოლიტიკური ლიდერის, ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის ნიკა მელიასა და მოძრაობა „ლელოს“ დამფუძნებლის მამუკა ხაზარაძის სასამართლო პროცესები გაიმართა. ორივე პოლიტიკური ლიდერი ხმაურიანი განცხადებებით გამოირჩა.

ხომ არ არის მოსალოდნელი „ქართული ოცნების“ მხრიდან ოპონენტების მიმართ ზეწოლის გაძლიერება და რატომ ხდება სამიზნე მხოლოდ რამდენიმე ლიდერი? – ამ საკითხებზე „ახალი თაობის“ კითხვებს პოლიტოლოგი **ნიკა ჩიტაძე** პასუხობს.

***– მელიამ თქვა, რომ აღარ დაემორჩილება სასამართლოს მოთხოვნას და აღარ ჩააყენებს პროკურატურას საქმის კურსში, როდის აპირებს რამე აქტივობას და როდის დატოვებს სახლს. რას ელოდებით ამ პროცესის ირგვლივ და ხომ არ უნდა ველოდოთ, რომ მორიგი ზეწოლა განხორციელდება მასზე „ქართული ოცნების“ მხრიდან?***

– კი, ეს სავსებით შესაძლებელია. ეს შესაძლოა გახდეს იმის საფუძველი, რომ მასზე რაღაც ზეწოლა განახორციელონ. მელიასთან დაკავშირებით ალბათ იტყვიან, რომ ის არ ემორჩილება კანონს, ამ შემთხვევაში სასამართლოს მიერ დაკისრებულ განაჩენს და არ აყენებს საქმის კურსში პროკურატურას. აქედან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია, რომ პრეტენზიები ჰქონდეს მასთან მიმართებით ხელისუფლებას.

***– რატომ აირჩიეს პოლიტიკური ანგარიშსწორების სამიზნედ მხოლოდ რამდენიმე პირი, მაშინ როდესაც იმავე 20 ივნისის მოვლენებზე დაახლოებით 10 პოლიტიკური ლიდერის გვარი ფიგურირებდა? ლიდერებიდან რეალურად ამ საქმეზე ციხეში ზის ოქრუაშვილი, ხოლო სამაჯური ადევს მელიას. რატომ?***

– პირველ რიგში იმიტომ, რომ ნიკა მელია არის პოლიტიკური ლიდერი, ერთ-ერთი ყველაზე აქტიური პირი, რომელიც აქტიურობდა თუნდაც იმავე თელავის მოვლენების დროს, რომელიც მიმდინარეობდა პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაციის პარალელურად. ეს ხდებოდა 2018 წლის დეკემბერში.

მაშინ კარგად გამოჩნდა, რომ მელია იყო ძალიან აქტიური ფიგურა. ის იყო ძალიან აქტიური 20 ივნისის მოვლენების დროსაც და ამიტომ შეაჩერეს ამ შემთხვევაში მასზე არჩევანი, რომ ანგარიშსწორება მასზე მომხდარიყო. რადგან ის იყო აქტიური ფიგურა, ჩათვალეს, რომ საფრთხეს წარმოადგენდა პარლამენტისთვის და, სავარაუდოდ, ამიტომ შეარჩიეს ნიკა მელია. შესაძლოა, ამ საკითხს უკავშირდებოდეს მელიას დასჯა.

***– ანუ იმას ამბობთ, რომ პოლიტიკური შურისძიების მომენტებთან გვაქვს საქმე? ამ მხრივ აქტიური იყო ოქრუაშვილიც, რომელიც მწვავედ აკრიტიკებდა ივანიშვილს.***

– დიახ, რა თქმა უნდა. ის იყო აქტიური პირი და ამით თითქოს მეტი საფუძველი აქვს ხელისუფლებას იმისა, რომ მას წაუყენონ გარკვეული პრეტენზიები და ბრალეულობა.

***– ირაკლი ოქრუაშვილი არ ყოფილა თელავის მოვლენებში ჩართული. მისი ციხეში ჩასმა რით აიხსნება?***

– კი ბატონო, თუმცა ოქრუაშვილთან მიმართებით სხვა რამესთან გვაქვს საქმე. მისი ეპიზოდი უკავშირდება ტელეკომპანია რუსთავი 2-ის საქმეს. გახსოვთ, ირაკლი ოქრუაშვილი აცხადებდა რუსთავი 2-თან დაკავშირებით, რომ ტელეკომპანიის რეალური მფლობელი ის არის. არსებობს კონკრეტული ხელშეკრულება, რომელიც ოქრუაშვილს ხალვაშთან აქვს დადებული. ამ ხელშეკრულების არსებობა დადასტურებულია. ოქრუაშვილი დაჭერის საქმე რუსთავი 2-ის საქმეს უკავშირდება პირდაპირ.

***– ანუ მელიასა და ოქრუაშვილის ეპიზოდებით ხელისუფლე-***

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „ოცნების“ დაშლის პროცესი უფრო გაღრმავდება“

## ბაჩუკი ქარდავა: „2020-ში პროდასავლური ძალები არჩევნებს მოვიგებთ“

ნათია ხურცილავა

გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი **ბაჩუკი ქარდავა** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო ბაჩუკი, „ქართულ ოცნებაში“ საპარლამენტო არჩევნებიდან ერთი წლით ადრე გარკვეული პროცესები დაიწყო. ვანო ზარდიაშვილი თუ ადრე ამბობდა, რომ პარტიაში რჩება, დღეს აცხადებს, რომ პოლიტიკიდან საერთოდ მიდის. რა ხდება?***

– „ქართული ოცნება“ არათუ იმიჯის გამოსწორებაზე ზრუნავს, არამედ ბოლო ფაზას უახლოვდება. ქართული პოლიტიკური ცხოვრების უახლესი გამოცდილებიდან ვამბობ – ყველა ხელისუფლების ბოლო ფაზა ზუსტად იდენტური იყო. რღვევის პროცესი ახალი ამბავი ხომ არ არის. სწორედ რღვევის პროცესია დაწყებული „ქართულ ოცნებაში“ და ეს პროცესი აუცილებლად გაგრძელდება.

ზოგი მათგანი ურთიერთგარჩევებისა და დაპირისპირების შედეგად დატოვებს პარტიას, ზოგიც ამ პარტიაში პერსპექტივას ვერ ხედავს. მომავალ საპარლამენტო სიაში თავის თავს ვერ ხედავს და ამიტომ ალბათ მოვლენებს დაასწრებს და „ქართულ ოცნებას“ გაემიჯნება.

ყველა წინამორბედი სახელისუფლებო პარტია გაქრა, ნაციონალური მოძრაობა კი კლასიკური გაგებით არის პოლიტიკური პარტია და ამიტომ შეინარჩუნა მან არსებობა. დანარჩენი



ყველა პარტია იყო იდეოლოგიის გარეშე, ერთი პირის ინტერესებს მორგებული.

***– 2020 წლის არჩევნებზე თქვენ რა მოლოდინი გაქვთ? მესამე ვადით შეძლებს „ოცნება“ ხელისუფლების შენარჩუნებას თუ პოზიციებს დათმობს?***

– ქვეყანაში ნამდვილად არის საზოგადოებრივი განწყობა, რომ ხელისუფლება უნდა შეიცვალოს. ამას მხოლოდ სოციოლოგები კი არ ამბობენ, ეს განწყობა იგრძნობა ქუჩაში. ნებისმიერი ადამიანი რომ გააჩერო და ჰკითხო, არის თუ არა ხელისუფლებით კმაყოფილი, უარყოფით პასუხს გაგცემთ. ხელისუფლების შეცვლა ხალხის სურვილია და ეს არის არსებული მოცემულობა.

თუ ბიძინა ივანიშვილი ამ ხალხის ლეგიტიმური უფლების წინააღმდეგ წავა, მას მაინც მოუწევს ხელისუფლებიდან წასვლა, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ბევრად უფრო მტკივნეული იქნება მისთვისაც და ქვეყნისთვისაც, თან არანაირად არ შედის ეს საქართველოს სტრატეგიულ ინტერესებში. ამიტომ არჩევანი მხოლოდ და მხოლოდ ივანიშვილზეა.

***– მესამე ძალის გამოჩენას ელოდებით?***

– მე არ მაქვს ასეთი მოლოდინი. პოლიტიკური სპექტრი მაინც გაჯერებულია. ეს მოსწონს ქართველ საზოგადოებას თუ არ მოსწონს, ეს არის, რაც არის. ქართველ ხალხს არჩევანის საშუალება ნამდვილად ექნება. ყველა ამომრჩეველი იპოვის თავის ნიშას, ყველას ექნება არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. მართალია, ზოგადად პოლიტიკური პარტიები დიდი პოპულარობით არ სარგებლობენ, მაგრამ ნამდვილად არიან პარტიები, რომლებიც შევლენ პარლამენტში და ხალხის ნდობას მოიპოვებენ.

***– დაახლოებით რამდენი პარტია შევა?***

– მე ველოდები ახალ პარლამენტში ისეთი კონფიგურაციის მიღებას, რომ ჩვენ მომავალში კოალიციური მთავრობა დავაკომპლექტოთ, რაც ნამდვილად შეიძლება, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდეს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

***– არც „ქართული ოცნება“ და არც ნაციონალური მოძრაობა არ აპირებენ ერთმანეთთან თანამშრომლობას და როგორ წარმოგიდგენიათ კოალიციური მთავრობა? გამოკითხვებში სწორედ ისინი ლიდერობენ.***

– „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობის სურვილი არათუ ნაციონალურ მოძრაობას, ბევრ სხვა პოლიტიკურ ძალასაც არ აღმოაჩნდა. რაც შეეხება ხელოვნური პარტიების, სატელიტების შექმნასა და მათთან თანამშრომლობას, რისი მცდელობა ყოველთვის იყო სახელისუფლებო ძალის მხრიდან და ეს პრაქტიკა ახალი არ არის, ეს ხერხი არასდროს ამართლებდა.

მე არ მჯერა, რომ ბიძინა ივანიშვილი შეძლებს სატელიტების ისე შექმნას, რომ ეს არ გამოაშკარავდეს და ამას ვერ მიხვდეს ამომრჩეველი.

ოპოზიციურ ფლანგზე მნიშვნელოვანი იქნება პროდასავლური ძალების თანამშრომლობა, პროდასავლური ქოლგის ქვეშ გაერთიანება უკვე პარლამენტში. „ოცნებასთან“ არავინ აპირებს თანამშრომლობას. მე დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ პროდასავლური ოპოზიცია მიაღწევს ამ არჩევნებში გამარჯვებასა და მთავრობის დაკომპლექტებას.

***– „ოცნების“ გარეშე?***

– დიახ. მე ამაში დარწმუნებული ვარ.



**შევიძენ**

**ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.**

**ტელ: 598-43-98-57**

# „ტაქსის ფერი შეიცვალა, მგზავრობის ფასი გაიზარდა, მაგრამ ხარისხი უცვლელი დარჩა“

## დავით მესხიშვილი: „თვითდასაქმებული ტაქსისტები გავლენ და ტაქსების ბიზნესის მონოპოლიას მივიღებთ“

იაგო ნაცვლიშვილი



ერთ კვირაზე მეტია, რაც დედაქალაქში ტაქსების რეგულაციები ამოქმედდა. ამ პროცესმა ტაქსების გაძვირება გამოიწვია, შედეგად გაიზარდა ნაკადი ავტობუსებსა და მეტროში, რომლის ხარისხთან დაკავშირებით ბევრი კითხვის ნიშანია.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის თავმჯდომარე“ **დავით მესხიშვილი** „ახალი თაობასთან“ ინტერვიუში მერიის სატრანსპორტო პოლიტიკის შესახებ საუბრობს და ასევე იმაზე, ხომ არ ჩნდება კორუფციის ნიშნები ტაქსების რეგულაციის თემაზე.

***– მოვისმინეთ კალაძის განცხადება, ვისაც არ მოსწონს გაძვირებული ტაქსი, გადაჯდეს საზოგადოებრივ ტრანსპორტზეო. შემდეგ კი განმარტა, რომ სამომავლოდ ისაუბრა ამაზე, მაგრამ რამდენად თანმიმდევრულია ეს პროცესი?***

– ეს რეფორმა დაიწყო 2016 წელს, დავით ნარმანიას მერობის დროს. თუმცა, ამას რეალურად რეფორმა არ ჰქვია, რეგულაციებია, იმიტომ, რომ რეფორმა ნიშნავს იმას, როდესაც შეფასება ხდება, კვლევა... რა უნდა გატარდეს, რა არის გასაკეთებელი და ა.შ. ამ შემთხვევაში მსგავსი არაფერი მომხდარა.

ჩვენ მაშინაც ვეუბნებოდით თბილისის მერიას და ახლაც, რომ სანამ საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ იქნება საკმარისი რაოდენობით, ეს არ გაეკეთებინათ, იმიტომ, რომ ეს გამოიწვევდა ტაქსის გაძვირებას, შეიქმნებოდა კრიზისი მგზავრთა გადაყვანაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ იყო გათვალისწინებული და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ, ანუ არ გამოცხადდა ეტაპები იმისათვის, რომ თვითდასაქმებულმა მძღოლმა თვითონ გადაწყვიტოს, ულირს თუ არა ამ სფეროში ყოფნა.

დღეს ჩვენ მივიღეთ ის, რომ გაძვირებული ტაქსების გამო მგზავრთა ნაკადი გაიზარდა ავტობუსებსა და მეტროზე, რომელთა რაოდენობა არ არის საკმარისი და კარგა ხანს, სამწუხაროდ, ვერ იქნება საკმარისი. ამიტომ შეიქმნა ასეთი კრიზისული მდგომარეობა. ყველაფერი უთავბოლოდ არის დაგეგმილი, მით უმეტეს, რომ საერთოდ კვლევა არ ჩატარებულა, არც საზოგადოებრივი აზრის კვლევა, არც პრობლემის ანალიზი. დაიწყო ეს პროცესი იმგვარად, მოდი, რაღაცა გავაკეთოთ და ტაქსი გახდეს უკეთესიო.

რაც მთავარია, ტაქსის ტექნიკურ გამართულობას არ უზრუნველყოფს ლიცენზია და ეს არის ტექინსპექტირების საქმე, რომელიც საერთოდ ცალკეა. ტაქსი იქნება თუ არა, ეს ტექინსპექტირებას უნდა დაექვემდებაროს.

***– ანუ ტექნიკური გამართულობის საკითხები მერიას საერთოდ აღარ ეხება?***

– არა, ამასთან მერია არაფერ შუაშია. ტექინსპექტირებას გავდივართ მთელი საქართველოს მასშტაბით ყველა, ვისაც ავტომობილი გვყავს და ეს საერთოდ არ არის კავშირში მერიასთან, მით უმეტეს გაუგებარია, რას აგვარებს ლიცენზია. სინამდვილეში არაფერსაც არ აგვარებს, გარდა იმისა, რომ ტაქსი გახდა თეთრი ფერის. ის არ აგვარებს ტექგამართულობასაც. ჩვენ გვქონდა მოლოდინი, რომ ტაქსი გახდებოდა უფრო კომფორტული და ფასი არ გაიზრდებოდა, მერე გვითხრეს, გაიზრდება, აბა რა იქნებაო. მერე გვითხრეს, არა, არ გაიზრდებაო, მერე მერის მოადგილემ თქვა, 1%-ით გაიზარდაო, მაგრამ რეალურად ვართ ამ გაუგებრობაში.

***– ანუ რეალურად ფასი გაიზარდა, ტაქსის ფერი შეიცვალა, მაგრამ ხარისხი უცვლელი დარჩა?***

– დიახ. ხედავთ, რომ ხარისხი არ შეცვლილა. მოთხოვნებში არც არის ეს ჩამონათვალი. მძღოლი იგივეა, სატრანსპორტო საშუალება იგივეა, ოღონდ თეთრი ფერის და მგზავრობის ღირებულება არის სხვა, ანუ გუშინდელზე უფრო ძვირია მომსახურება. ეს შეიცვალა, მაგრამ ხარისხთან დაკავშირებით არაფერი შეცვლილა.

***– სატრანსპორტო პოლიტიკის თანმიმდევრულობასთან გვაქვს პრობლემა?***

– პრობლემა გვაქვს იმაში, რომ დედაქალაქში ტრანსპორტის მწყობრი პოლიტიკა არ არსებობს. არ არის თანმიმდევრული ხედვა, გეგმა და არ არსებობს ეს დოკუმენტი. რაღაც სტრატეგია არ არსებობს ამ მიმართულებით. ეს ხდება დედაქალაქის ტრანსპორტთან დაკავშირებით და მიმდინარეობს კონტექსტიდან ამოგლეჯილად რაღაც ცალკეული ეპიზოდები, რომლებიც არ უკავშირდება ერთმანეთს და, რაც მთავარია, ტრანსპორტი არის ის სფერო, რომელიც დაკავშირებულია ერთმანეთთან – ავტობუსი, მეტრო, ტაქსი, ჩვენს კერძო მფლობელობაში მყოფი ავტომობილები.

ამ საერთო სტრატეგიიდან უნდა ხდებოდეს გადაწყვეტილებების მიღება. საზოგადოებრივი ტაქსი არის განუვითარებელი და ამ დროს რეგულაციები დაწესდა ტაქსზე. ეს არ არის ნორმალური მდგომარეობა, რაც იმის შედეგია, რომ არ არსებობს კონკრეტული დაწერილი გეგმა.

***– ლოგიკურად ხომ ასე უნდა იყოს, რომ მოწესრიგდეს ავტობუსებისა და მიკროავტობუსების პრობლემა, მეტრო გაუმჯობესდეს და ამის შემდეგ შემოვიდეს ტაქსების რეგულაციები, რაზეც ვთანხმდებით, რომ ესეც გასატარებელია, მაგრამ – ბოლო ეტაპზე.***

– დიახ, რა თქმა უნდა. მეც ზუსტად მაგაზე ვსაუბრობ, როცა ვამბობ, რომ ერთმანეთზე დამოკიდებულებით არ ხდება ამ ცვლილებების გატარება. ეს იმიტომ, რომ არ არის კონკრეტული გეგმა დაწერილი. დედაქალაქის მერისგან გვესმის, რომ პარალელურად წესრიგდება ავტობუსების პრობლემა, მაგრამ ავტობუსების პრობლემა ვერ წესრიგდება პარალელურად, იმიტომ, რომ ტაქსების რეგულაციებმა გაასწრო.

სინამდვილეში ჩვენ გვჭირდება 1.000-მდე ავტობუსი, რომელიც საჭირო იქნება ნორმალური გადაადგილებისთვის, თუნდაც ახლები, რომლებიც ჩამოდის და მოხდება ძველი, უვარგისი ავტობუსების ჩანაცვლება, გვექნება 600-მდე ავტობუსი. შესაბამისად, საინტერესოა, ვინ უთხრა მერიას, რომ პარალელურად უნდა მოწესრიგდეს ეს, როცა ეს პროცესი პარალელურად არ გამოდის და პრობლემაც მაგაშია.

***– რაღაც კორუფციულ სქემებზეც არის საუბარი და ხომ არ გაქვთ რამე ინფორმაცია ან ეჭვი ამ მიმართულებითაც?***

– არსებობს ეჭვი იმისა, რომ ამ რეგულაციებს დაემატება სხვა რეგულაციები, ზეწოლა გაიზრდება თვითდასაქმებულ ტაქსისტებზე და ისინი ვერ შეძლებენ ამ რეგულაციებით დაკმაყოფილებას, გამომდინარე ფინანსური შესაძლებლობებიდან, რაც გამოიწვევს ამ ბაზრიდან მათ გასვლას, რაც ნიშნავს თავისუფალი ადგილის გაჩენას და მოთხოვნის ზრდას, შესაბამისად გვაქვს ეჭვი, რომ გამოჩნდება რამდენიმე კომპანია, რომლის ხელშიც მოექცევა მთლიანად ეს ბიზნესი.

შეიძლება, იყოს ორი კომპანია ალბათ და დაახლოებით ცნობილია სურათი, რომ მივიღებთ სხვადასხვა შპს-ს, შეიძლება რამდენიმე შპს იყოს, მაგრამ დაახლოებით მაინც მონოპოლიური ტაქსის ბიზნესს მივიღებთ. ამას სხვა ახსნა არ აქვს.

***– ეჭვი იმაზეც გაქვთ, რომ შესაძლოა ეს კომპანიები კალაძესთან იყვნენ აფილირებულები?***

– ამ ეტაპზე მე ვერ დავადებ ხელს კალაძეს ამ მიმართულებით, მაგრამ ის პროცესი, რომელიც მიმდინარეობს, პრაქტიკულად ამზადებს ნიადაგს სხვადასხვა მსხვილი კომპანიისთვის, რომლებიც შემოვლენ ბაზარზე. ჩემი ეჭვი არის ის, რომ ახლო მომავალში კიდევ უფრო შეიზღუდება ეს ბაზარი.

# გიგა ბუკია: „გიორგი მიქაუტაძემ სააკაშვილის დროს ბინა წაართვა“

## „მას ბევრ მწვავე შეკითხვას დავუსვამთ“

მარიამ მჭედლიშვილი

პარლამენტში გრძელდება უზენაესი სასამართლოს წევრობის კანდიდატების მოსმენა. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პარლამენტის უმრავლესობის „კონსერვატორების“ ფრაქციის თავმჯდომარე **გიგა ბუკიას**.

***– მას შემდეგ, რაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატს, მოქმედ პროკურორს პარლამენტში დაუსვეს სხვადასხვა შეკითხვა, მის მიმართ სერიოზული პრეტენზიები გაჩნდა. უმრავლესობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ეს ოპოზიციის ნარატივია და სხვა არაფერი. ასე მარტივად არის საქმე?***

– თქვენ რომელ პრეტენზიებს გულისხმობთ?

***– გაჩნდა კითხვები მისი დიპლომის ნამდვილობაზე, ასევე – ზოგად განათლებაზე.***

– შალვა თადუმაძის კომპეტენციაში არავის არასდროს შეუტანია ეჭვი, მათ შორის, ნაცმოძრაობის წარმომადგენლებს. სააკაშვილის დროს ის ადვოკატი იყო და, როგორც ძლიერი იურისტი, უწევდა ოპონირებას მოწინააღმდეგეებს. თადუმაძის ზოგად განათლებაზე არ შეიძლება დასკვნების გამოტანა სახუმარო პასუხებიდან გამომდინარე. ზოგიერთი შეკითხვა დაახლოებით ასეთი იყო – არის თუ არა ორჯერ ორი ოთხი? ოპოზიციის წარმომადგენლები მას დამამცირებელი ტონალობით ელაპარაკებოდნენ.

***– ოპოზიცია თადუმაძის მიმართ დამცინავი იყო?***

– რასაკვირველია, დამცინავი იყო. რომან გოცირიძე და გიგა ბოკერია ხშირად დამამცირებლად და ამპარტავნულად ელაპარაკებიან ადამიანებს. მიუღებელია ასეთი ხალხის მხრიდან სხვების მიმართ ზემოდან ყურება, თორემ პოლიტიკური პაექრობა ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში ხდება. აშშ-ში, მაგალითად, პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურებზე ლაპარაკობენ.

***– შალვა თადუმაძის დიპლომმა არეული თარიღებით საზოგადოებაც დააბნია.***

– არ შეიძლება, ვინმე ვინმეზე უკეთესი იყოს იმის გამო, რომ ოქსფორდში სწავლობდა. 90-იანი წლები მძიმე იყო საქართველოსთვის. იმ დროს ზოგი საზღვარგარეთ გარბოდა, ზოგი კი ჩაბნელებულ სამშობლოში რჩებოდა, ზოგიერთი საზღვარგარეთ იღებდა განათლებას, ზოგიერთი კი – საქართველოში, სანთლის შუქზე. კანონებით დაშვებული იყო ამა თუ იმ უმაღლესი სასწავლებლის არსებობა. მაშინდელ კანონმდებლობაზე ყველაზე მეტს დავობენ ისინი, ვინც მაშინდელ ხელისუფლებასთან იყო დაკავშირებული.

***– ვის გულისხმობთ?***

– იმ პერიოდში საქართველოს მართავდა სააკაშვილის პოლიტიკური მამა შევარდნაძე. რომან გოცირიძე პრემიერის მრჩეველი იყო. ხათუნა

### „შალვა თადუმაძის მიმართ ოპოზიცია დამცინავი იყო“

გოგორიშვილმა გაიხსენოს, სად იყო მაშინ! დღეს ყველაზე მეტ იქედნობას მაშინდელ არეულ დროზე ამ ხალხისგან გაიგონებ. საერთოდ, ჩასაფრებული თუ ხარ, ადამიანის ან თვალის ფერი და ცხვირის ფორმა არ მოგეწონება, ან დიპლომი.

***– თქვენ შალვა თადუმაძეს კენჭისყრისას მხარს დაუჭერთ?***

– შალვა თადუმაძე იქნება ერთ-ერთი კანდიდატურა, რომელსაც ჩვენი ფრაქცია მხარს დაუჭერთ.

***– აქამდე წარმოდგენილ სხვა კანდიდატებზე რა შთაბეჭდილება შეგექმნათ?***

– სხვადასხვაგვარი, ზოგთან შეკითხვები დაგვრჩა, ზოგი ჯერ არ წარმდგარა ჩვენ წინაშე, მაგალითად, გიორგი მიქაუტაძე. გიორგი მიქაუტაძეს ბევრ მწვავე შეკითხვას დავუსვამთ. ეს ის მოსამართლეა, რომელმაც 2011-2012 წლებში კონვეიერული წესით გაგვასამართლა „ქართული ოცნების“ შემომწირველები.

***– თქვენ, როგორც მახსოვს, მაშინ ბინა ჩამოგართვეს.***



– დიახ, საცხოვრისი წაართვეს, ფულის წარმომავლობაზე მომედავნენ. არადა, საბანკო ამონაწერი ყველაფერს განმარტავდა. მოსამართლე მიქაუტაძემ საბანკო ამონაწერი მტკიცებულებად არ მიიჩნია. სასამართლოში ჩვენი საქმის ბრალმდებელს უზარმაზარი დრო დაუთმეს, ხოლო ჩვენ, ბრალდებულებს – ორ-ორი წუთი. ჯამში 7 კაცზე 14 წუთი გამოგვიყვეს.

***– ასეთი გადაწყვეტილებების მიმღები მოსამართლეები და ასეთივე „სამართლიანი“ პროკურორები „ქართული ოცნების“ მმართველობის დროს დაწინაურდნენ.***

– ჩვენ ამაზე ხელი არ მიგვიწვდებოდა. როცა „ქართული ოცნება“ კოალიციით მოვიდა, ჩვენთვის მთავარი იყო სასამართლოს დამოუკიდებლობა. დამოუკიდებლობა იმას ნიშნავს, რომ სასამართლოსა და პროკურატურის საქმეებში პარლამენტის წევრები არ უნდა ჩაერიონ.

ჩვენ არც მოსამართლეებისა და არც პროკურორების დაწინაურებაში არ ვმონაწილეობდით. მიქაუტაძის კარიერულ წინსვლაზე რომ მთხოვეს კომენტარი, იგივე ვთქვი. ამჟამად კანდიდატები პარლამენტში მოდიან და სხვა სიტუაციაა. მოსამართლეს, უზენაესი სასამართლოს წევრობის კანდიდატს რომ შეგიძლია შეახსენო, უკანონო და არასწორი გადაწყვეტილებები აქვს მიღებული, კარგია სასამართლო სისტემისათვის. მოსამართლე, სანამ უსამართლო განაჩენს გამოიტანს, კარგად დაფიქრდება.

***– სოციალურ საკითხებზეც მინდა გკითხოთ. პარლამენტში შეტანილია კანონპროექტი მინიმალური ხელფასის შესახებ.***

– დეტალურად მასზე მსჯელობა შემეძლება მაშინ, როცა პროექტს გავეცნობი. საკომიტეტო მოსმენებზე იქნება განხილვა. მას ახლავს ბევრი ნიუანსი. ერთი მხრივ, მინიმალური ხელფასის დადგენა კარგია, მეორე მხრივ – ქმნის პრობლემებს.

***– მომავალი წლიდან ხელფასები ეზრდებათ სკოლის მასწავლებლებსა და საბიუჯეტო სფეროს სხვა სეგმენტებს. ამავე დროს, ქვეყანაში არსებობენ ადამიანები 200 და 300-ლარიანი ხელფასებით, დიდია ასევე უმუშევრობა და სიღატაკე.***

– მომავალი წლის ბიუჯეტი 900 მილიონი ლარით იზრდება. აქედან 800 მილიონამდე სოციალურ სფეროზე – ხელფასებზე, პენსიებზე, დახმარებებზე ნაწილდება.

სოციალური მიმართულება პრიორიტეტია. რა თქმა უნდა, სოციალური პრობლემები ხელფასებისა და პენსიების მატებით არ გადაწყდება. აუცილებელია ბიზნესის განვითარება, სამუშაო ადგილების შექმნა და ღირსეული ანაზღაურების მიღწევა.

სახელმწიფო ამაზე ზრუნავს. შექმნილია კარგი პროფესიული სასწავლებლები და გადამზადების კურსები. არის მთელი რიგი პროფესიები, რომლებზეც არსებობს მოთხოვნა, მაგრამ არ არის კვალიფიციური კადრები. კარგი ხელოსანი რომ იშოვო, რიგში უნდა დადგე. მუშახელის დეფიციტი უნდა გამოასწორონ პროფესიულმა სასწავლებლებმა.

პროფესიონალი კადრები სამუშაოს გარეშე არ დარჩებიან. თანდათან უმუშევრობა შემცირდება და სოციალური პრობლემები დაიძლევა.

# „მამუკა ხაზარაძე „ოცნებისთვის“ სერიოზული საფრთხე ხდება“

დასაწყისი მე-3 გვერდზე



***ბამ თავიდან აირიდა თავისტკივილი და ვისგანაც საფრთხე დაინახა, ისინი გაანეიტრალა?***

– კი ბატონო, ნამდვილად შეგვიძლია, ეს შეფასება გავაკეთოთ ამ ფაქტებიდან გამომდინარე.

***– მამუკა ხაზარაძის სასამართლო სხდომაც იყო ფულის გათეთრების თემაზე. სხდომაზე შესვლამდე მან თქვა, რომ, ფაქტობრივად, ტყუილებში გვიწევს ცხოვრება, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა შექმნა. ეს ნიშნავს თუ არა იმას, რომ ხაზარაძე კიდევ უფრო აქტიურად უპირისპირდება ივანიშვილს?***

– კი, ძირითადად ამას ნიშნავს, იმიტომ, რომ მის მიმართ ზეწოლა არსებობს. ამ საქმეზე მას დააკისრეს 700.000-ლარიანი გირაო და ალბათ ამ შემთხვევაში ეს ასეა, მით უმეტეს, რომ მან უკვე ჩამოაყალიბა საზოგადოებრივი მოძრაობა „ლელო“ და მისი პოლიტიკური პარტიაც ამ სახელწოდების იქნება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ხაზარაძეს სურს, დაიკავოს რადიკალური ოპოზიციის ადგილი.

***– ხომ არ ელოდებით, რომ ხაზარაძის მიმართაც იგივე ქმედებები განხორციელდება, რომლებიც მელიას ან ოქრუაშვილთან მიმართ განხორციელდა?***

– კი, სავსებით შესაძლებელია. ყოველ შემთხვევაში, ეს გამორიცხული არანაირად არ არის, იმიტომ, რომ საუბარია 10 წლის წინ ჩატარებულ ოპერაციაზე, თითქოს ის იყო უკანონო. მანამდე აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით საუბარი არ ყოფილა და მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო ეს ქმედება, რაც ანაკლიის პორტის პროექტთან დაკავშირებით გაჩნდა გარკვეული ინტერესები ხელისუფლების მხრიდან. ამ ფაქტის შემდეგ წაუყენეს გარკვეული ბრალი ბატონ მამუკა ხაზარაძეს.

***– ანუ დღეს ხელისუფლებისთვის ხაზარაძეც საფრთხეს წარმოადგენს?***

– დიახ, ხელისუფლება მას განიხილავს კონკურენტად. იმიტომ განიხილება ხაზარაძე „ქართული ოცნების“ კონკურენტად, რომ მას გააჩნია ფინანსური რესურსები და შეუძლია, ამ რესურსებით გააკეთოს ფილიალები საქართველოს რეგიონებში და დაუპირისპირდეს ივანიშვილს. აქედან გამომდინარე, მე ასე მგონია, რომ ხელისუფლება მასზე განახორციელებს ზეწოლას.

***– ხელისუფლება მისი დაჭერისკენ წავა თუ დაახლოებით იმავე ქმედებას განახორციელებს, რომელიც 2016 წელს პაატა ბურჭულაძის მიმართ განახორციელა?***

– მე მგონია, უფრო იმაზე იქნება საუბარი, რომ მას მიაყენონ დარტყმა. მივა თუ არა საქმე მის დაჭერამდე, ამაზე საუბარი ამ ეტაპზე რთულია.

# გოჩა ვეფხვაძის მკვლელობის მცდელობისთვის პოლიცია დათო რუსიას, ვაჟა ოჩიგავასა და კიდევ 3 პირს ეძებს

გოჩა ვეფხვაძის ჯგუფურად განზრახ მკვლელობის მცდელობასა და უკანონო წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ თავისუფლების აღკვეთაში ეჭვმიტანილ 5 პირს პატიმრობა შეეფარდა.

კურიერს სანდო წყარო უყვება, რომ დათო რუსია, რომელიც გოჩა ვეფხვაძის მკვლელობის მცდელობის საქმეში მთავარი ფიგურანტია, საკუთარ სახლთან მომხდარის შემდეგ არავის უნახავს. რუსია ვაჟა-ფშაველას მეორე კვარტალში დედასთან და დასთან ერთად ცხოვრობს, თუმცა მის ბინაში მისულ ჟურნალისტებს კარი არავინ გაუღო.

უკვე 5 დღეა, არავის უნახავს საქმის კიდევ ერთი ბრალდებული ვაჟა ოჩიგავა, იგივე ბაჩა, თუმცა მის მისამართზე უკვე იმყოფებოდნენ გამომძიებლები.

რუსიასა და ოჩიგავას მსგავსად, იძებნება კიდევ 3 პირი.

შემთხვევა 6 ოქტომბერს, დღის 12 საათზე, საბურთალოს პოლიციის სამმართველოსთან 300 მეტრში მოხდა.

ტოიოტას მარკის ავტომობილს ნიკა კუტალაძე მართავდა, მის გვერდით მანქანის მფლობელი დათო რუსია იჯდა, უკანა სავარძელზე კი – ვაჟა ოჩიგავა, იგივე ბაჩა, ასევე მანქანაში ისხდნენ ზაზა მაჩაბელი და დათო ბერეჟიანი.

გახოკიძის 3 ნომერში მომხდარი ჩხუბის შემდეგ, ერთ-ერთი ვერსიით, ზაზა მაჩაბელმა ვეფხვაძეს მანქანის გასაღები წაართვა და მისი ავტომობილი გახოკიძის 11 ნომერში დატოვა. ამის შემდეგ მაჩაბლის კვალი საქმიდან ქრება.

პარალელურად კი ტოიოტას მარკის ავტომობილი ლისის ტბის მიმართულებით დაიძრა. მეზობლები ყვებიან, რომ პატრული ჩხუბის გამო გამოიძახეს, თუმცა პოლიცია მაშინ მოვიდა, როდესაც ორივე ავტომობილს ტერიტორია






დატოვებული ჰქონდა.

❖ ❖ ❖

9 ოქტომბერს, გვიან ღამით, დასრულდა მძიმედ დაჭრილი გოჩა ვეფხვაძის მეორე ოპერაცია – მას ტრეპანაცია დასჭირდა.

მისი მდგომარეობა უკიდურესად მძიმე რჩება.

– გართულების გარეშე ჩაიარა ოპერაციამ, თუმცა მისი მდგომარეობა ძალიან მძიმე რჩება. ტვინი არის ძალიან დასიებული და შეშუპება არის საკმაოდ დიდი, – უთხრა რუსთავი 2-ს გოჩა ვეფხვაძის ნათესავმა თამარ ხავთასმა.

# ლეილა მუსტაფაევამ გერმანიაში პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო

გუშინ, 10 ოქტომბერს, გატაცებული ჟურნალისტის აფგან მუხთარლის მეუღლემ და მისმა ადვოკატმა ახალ გარემოებებზე ისაუბრეს.

ლეილა მუსტაფაევას თქმით, საპატიმროში მყოფი ჟურნალისტის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დრომდე საგანგაშოა.

გარდა ამისა, ლეილა მუსტაფაევამ განაცხადა, რომ მათ გერმანიაში პოლიტიკური თავშესაფარი მიიღეს.

– გერმანიაში პოლიტიკური თავშესაფრის მიღება ჩემთვის პირველ რიგში ნიშნავს უსაფრთხო ადგილს საცხოვრებლად. თქვენ იცით, რომ საფრთხის შემცველი იყო აზერბაიჯანში ცხოვრება და საქართველოში დარჩენაც. ორი ქვეყნის მთავრობა ერთად მოქმედებდა და ისევ მოქმედებს. სხვაგვარად რთული იქნებოდა ადამიანის გატაცება და მეორე მხარისთვის გადაცემა.

ეს ყველაფერი გადაწყდა მაღალი თანამდებობის პირების დონეზე. საქმის გამოძიება არ სურთ, რადგან ჩემმა მეუღლემ კარგად იცის, ვინ მონაწილეობდა ამ დანაშაულში და ყველაფრის მარტივად გარკვევა არის შესაძლებელი. მე არ მაქვს კითხვები, მე მივმართავ პარლამენტს, რომ ჰქონდეთ სურვილი, ამ საქმეზე გამოძიება დამ-



თავრდეს, – განაცხადა ლეილა მუსტაფაევამ.

არასამთავრობო ორგანიზაციის „კონსტიტუციის 42-ე მუხლი" იურისტის, ადვოკატ არჩილ ჩოფიკაშვილის განცხადებით, გერმანიაში პოლიტიკური თავშესაფრის მიღება სწორედ იმას ადასტურებს, რომ საქართველოში აზერბაიჯანელი ჟურნალისტის გატაცების საქმეზე ეფექტური გამოძიება არ განხორციელდა.

– პოლიტიკური თავშესაფრის მიღება გერმანიაში გარკვეულწილად იმას ნიშნავს და კიდევ ერთი დადასტურება იქნება, რომ ჩვენთან, ფაქტობრივად, ამ საქმეზე არ მომხდარა ეფექტური რეაგირება და ეფექტური გამოძიება. მიუხედავად იმისა, რომ მოლოდინის რეჟიმში ვართ და ველოდებით გადაწყვეტილებას, ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ეს იყო მნიშვნელოვანი გარემოება და ევროსასამართლოს ვაცნობეთ ამ ფაქტის შესახებ, – განაცხადა არჩილ ჩოფიკაშვილმა.

მისი თქმით, ლეილა მუსტაფაევას მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედებები ტარდებოდა.

– ქალბატონი ლეილა თავის შვილთან ერთად იძულებული გახდა, დაეტოვებინა ქვეყანა და გადასულიყო გერმანიაში, სადაც სათანადო პროცედურების გავლის და შესაბამისი ორგანოებისთვის მიმართვის შემდეგ მიიღო პოლიტიკური თავშესაფარი.

კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც უპასუხოდ დარჩა ჩვენთვის და მთელი საზოგადოებისთვის, იყო ბარათაშვილის ქუჩაზე ერთ-ერთ ვიდეოჩანაწერში გამოჩენილი შავ პიჯაკში ჩაცმული მამაკაცი, რომელიც აუცილებლად უნდა გაერკვია გამოძიებას, თუ ვინ იყო და რა კავშირი ჰქონდა მას აფგან მუხთარლის გატაცებასთან, თუმცა გაირკვა, რომ ვიდეოჩანაწერი საერთოდ აღარ გაიხსნა.

პროკურატურამ ჩაატარა ექსპერტიზა და ექსპერტებმაც ვერ დაადგინეს, თუ რატომ არ იხსნებოდა ვიდეოჩანაწერი, ანუ აღმოჩნდა, რომ ერთი ძაფი, რომელიც ამ საქმეში იყო ხილული ჩვენთვის და ამ ძაფით შეიძლებოდა საქმის გამოძიება და ამ დანაშაულის გახსნა, ფაქტობრივად, აღარ არსებობს.

ვთვლი, რომ ეს ახალი ძალიან მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც პოლიტიკური თავშესაფრის მიღებას ეხება, დააჩქარებს ევროსასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანას, – განაცხადა არჩილ ჩოფიკაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯანელი ოპოზიციონერი ჟურნალისტი აფგან მუხთარლი თბილისში გასული წლის 29 მაისს გაუჩინარდა.

მოგვიანებით ის აზერბაიჯანში აღმოჩნდა. აფგან მუხთარლის ბრალი 3 მუხლით – აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის, კონტრაბანდისა და ხელისუფლების წარმომადგენლისთვის წინააღმდეგობის გაწევის ან ძალადობის მუხლებით ჰქონდა წაყენებული.

2018 წლის 12 იანვარს აზერბაიჯანულმა სასამართლომ აფგან მუხთარლის 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

# მცხეთაში 9.198 კვ.მ მიწის ნაკვეთები უკანონოდ დაარეგისტრირეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე 2 პირი დააკავა.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენებით, დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე, ორი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, ყალბი დოკუმენტების გამოყენებით დაარეგისტრირეს მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 170.944 ლარის ღირებულების სახელმწიფოს კუთვნილი 9.198 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთები.

დღეისთვის დაყადაღებულია ერთი მიწის ნაკვეთი. ტარდება სათანადო ღონისძიებები დანაშაულში მონაწილე სხვა პირების დადგენამხილების მიზნით.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებითა და 362-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით", – აღნიშნულია საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ქუთაისის აეროპორტში ნარკოტიკის შემცველი წამლის შემოტანა აღიკვეთა

ქუთაისის აეროპორტში ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტის კანონდარღვევით შემოტანის ფაქტი აღიკვეთა.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, საბაჟო-გამშვებ პუნქტში „ქუთაისის აეროპორტი", ეჭვის საფუძველზე, საქართველოს მოქალაქის გ.დ.-ს კუთვნილი ბარგისა და ხელბარგის დათვალიერებისას ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტი „მეტადონი" (72 გრამი) გამოავლინეს.

საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს წყალტუბოს რაიონულ სამმართველოს გადაეცა.

# ქუთაისში 65 წლის ქალი მე-5 სართულიდან გადავარდა და დაიღუპა

უბედური შემთხვევის შედეგად ქუთაისში 65 წლის ქალი დაიღუპა.

შუახნის ქალი 9 ოქტომბერს საცხოვრებელი კორპუსის მეხუთე სართულიდან გადავარდა.

დაშავებული მძიმე დაზიანებებით იმერეთის რეგიონულ კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

## მალამო „მენტორი პირველი"

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი" გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოლოს ნაკბენის დროს.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

## სპრეი მენტორი 7

გრიპის, ალერგიის, გაციების დროს, ცხვირის არხებიდან გამონადენის შესაჩერებლად მცენარეებისაგან შექმნილი საუკეთესო ანტიალერგიული სამკურნალო საშუალება სპრეი „მენტორი 7". გამოყენების წესი: გავათავისუფლოთ ცხვირი არხებიდან გამონადენით, შევისხუროთ წამალი სპრეი ტუბის საშუალებით. აუმჯობესებს სუნთქვას, თანდათანობით მცირდება და წყდება გამონადენი ცხვირიდან. შეინახეთ გრილ ადგილას.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

# სროლა მარნეულის ჩაიხანაში

## 2 ადამიანი დაიჭრა



გუშინ 10 ოქტომბერს, მარნეულში ერთ-ერთ ჩაიხანაში სროლის დროს 2 ახალგაზრდა მამაკაცი დაიჭრა.

შემთხვევა რუსთაველის ქუჩაზე, ღია ცის ქვეშ მოწყობილ ჩაიხანის ტერიტორიაზე მოხდა.

დაჭრილები 19-დან 22 წლის არიან, სოფელ ჯანდარიდან.

უცნობმა მამაკაცმა ახალგაზრდებს რამდენჯერმე ესროლა. მათ ცეცხლსასროლი იარაღიდან ჭრილობები ფეხის არეში აქვთ მიყენებული.

მომხდარზე ძიება სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით დაიწყო, რაც სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

# ქობულეთთან 15 წლის გოგონა დაიღუპა

## ერთმანეთს 2 მანქანა შეეჯახა

15 წლის გოგოს სიცოცხლე ემსხვერპლა ავარიას ქობულეთის შემოვლით გზაზე.

2 ავტომობილის შეჯახების შედეგად დაშავდნენ დაღუპული გოგონას 3 წლის ძმა და მამა. დაშავებულები ბათუმის საავადმყოფოში არიან გადაყვანილი.

ექიმების ინფორმაციით, დაშავებული მამა-შვილის მდგომარეობა სტაბილურია. მათ ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

ავტოსაგზაო შემთხვევა ბათუმი-ქობულეთის შემოვლით გზაზე 9 ოქტომბერს, დაახლოებით დღის 4 საათზე მოხდა.

ავარიის გამომწვევი მიზეზების დასადგენად გამოძიება უკვე დაწყებულია.

# მიცკევიჩზე მანქანა მოტოციკლს დაეჯახა



თბილისში 9 ოქტომბერს, გვიან ღამით, მომხდარი ავტოავარიის შედეგად 1 ადამიანი დაშავდა.

მიცკევიჩის ქუჩაზე ერთმანეთს მოტოციკლეტი და მსუბუქი ავტომობილი შეეჯახნენ.

შეჯახების შედეგად დაშავდა მოტოციკლეტის მძღოლი.

დაშვებული სასწრაფო დახმარების ბრიგადამ კლინიკაში გადაიყვანა. მოტოციკლეტის მძღოლს ხელზე ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა.

მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

# სამეგრელოში უაქციზო თამბაქოს შენახვა-გადაზიდვის ფაქტები გამოვლინდა



„ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის სამეგრელოს, გურიისა და ზემო სვანეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, ზუგდიდის რაიონ სოფელ რუხში და რიყეში განხორციელებული მიმდინარე კონტროლის ღონისძიებების შედეგად უაქციზო სიგარეტის (ჯამში, 24.740 ღერი სიგარეტი) შენახვა-გადაზიდვის ფაქტები გამოავლინეს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს ჩამოერთვათ საქონელი. საქმეთა მასალები, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 241-ე მუხლის შესაბამისად, ქვემდებარეობით შესაბამის სასამართლოს გადაეგზავნა", – აღნიშნულია შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# თურქეთის არმიის სირიაში შეჭრას მსოფლიოში კრიტიკა მოჰყვა

9 ოქტომბერს თურქეთის არმიამ სირიის ჩრდილოეთ ნაწილში შეტევა დაიწყო. პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა, რომ თურქების მიზანი ისლამური სახელმწიფოს, აგრეთვე ქურთი მებრძოლების განადგურებაა.



ერდოღანმა ხაზი გაუსვა, რომ თურქები სირიის ტერიტორიაზე უსაფრთხოების დერეფანს შექმნიან, რათა ტერორისტებისგან დაცულნი იყვნენ.

თურქებმა გამოიყენეს როგორც მძიმე ტექნიკა, ასევე ავიაცია.

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა თურქეთის მოქმედება დაგმო.

– ნატოს წევრი ქვეყანა თურქეთი სირიაში შეიჭრა. აშშ ამას მხარს არ უჭერს, – განაცხადა ტრამპმა.

სენატორმა რესპუბლიკელებმა მოითხოვეს, რომ თურქეთის მიმართ სანქციები დაუყოვნებლივ იქნას შემოღებული. ტრამპი ასეთი რადიკალური ნაბიჯის გადადგმას არ ჩქარობს. აშშ-ის პრეზიდენტსა და მის თანაპარტიელ რესპუბლიკელებს შორის უთანხმოება იზრდება.

სირიის დემოკრატიულმა ძალებმა, რომლებიც ქურთების მოკავშირენი არიან, მოუწოდეს მსოფლიოს დემოკრატიულ საზოგადოებას, უწინარეს ყოვლისა კი აშშ-ს, რომ თურქების შეტევა შეაჩერონ. მათ მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ თურქები იყენებენ სამხედრო ავიაციას, რამაც შესაძლოა რეგიონში ეკოლოგიური კატასტროფა გამოიწვიოს.

დიქტატორმა ასადმა კი განაცხადა, რომ მის ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოს მიერ უსაფრთხოების დერეფნის შექმნა შეიარაღებული აგრესიაა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მომხდართან დაკავშირებით შეშფოთება გამოთქვა, მაგრამ აღნიშნა, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები პროცესებში არ ჩაერევიან.

– რუსეთის არმია სირიაში სულ სხვა მიზნით იმყოფება, – განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ.

თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ ერდოღანი საერთაშორისო კრიტიკას გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ოპერაციის ფარგლებში სირიის ტერიტორიული მთლიანობა უზრუნველყოფილი იქნება.

– ისინი პატიოსნად არ იქცევიან, მხოლოდ სიტყვებს ისვრიან, – განაცხადა ერდოღანმა.

ამასთან, თუ ევროპული ქვეყნები კვლავ განაგრძობენ ოპერაციისთვის ოკუპაციის იარლიყის მიკერებას, ანკარა 3,6 მილიონ სირიელ ლტოლვილს ევროპისკენ მიმართავს.

– ჩვენ გავხსნით კარს და 3,6 მილიონ სირიელ ლტოლვილს თქვენკენ გამოვუშვებთ, – თქვა ერდოღანმა.

# ბაიდენმა ტრამპის იმპიჩმენტი მოითხოვა



აშშ-ის ყოფილმა ვიცეპრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ დონალდ ტრამპმა კონსტიტუცია დაარღვია და უნდა წავიდეს.

– მე ტრამპის იმპიჩმენტს მხარს ვუჭერ, – თქვა ბაიდენმა.

აქამდე ბაიდენი ასეთი მკვეთრი განცხადებებისგან თავს იკავებდა. მიუხედავად ამისა, ტრამპი მას და მის ვაჟს უკრაინაში კორუფციულ სქემებში მონაწილეობას საჯაროდ აბრალებდა. ბაიდენიც კონტრიერიშზე გადავიდა და ტრამპის იმპიჩმენტი საჯაროდ მოითხოვა.

ამასობაში აშშ-ის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თავის დროზე ახლო აღმოსავლეთში ამერიკული არმიის გაგზავნა შეცდომა იყო. ამის შედეგად, მისი აზრით, აშშ უაზრო ომში აღმოჩნდა ჩათრეული. დაიღუპა უამრავი ადამიანი, დაიხარჯა ტრილიონობით დოლარი.

– დადგა დრო, ამერიკელი ჯარისკაცი შინ დაბრუნდეს, – თქვა ტრამპმა.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ტრამპის განცხადება მისი პერსონის გარშემო აზვირთებულმა აჟიოტაჟმა გამოიწვია. როგორც ჩანს, კონგრესი ტრამპს იმპიჩმენტს გამოუცხადებს, სენატში ამის დამტკიცება ვერ მოხდება და ყველაფერს სასამართლო გადაწყვეტს, აქ კი ფართო საზოგადოების შეხედულებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება.

ტრამპიც ცდილობს, უბრალო, რიგითი ამერიკელების გული მოიგოს, რათა სავარძელი შეინარჩუნოს.

# გფბ-მ ჯაშუში დააკავა

გამოძიების ფედერალურმა ბიურომ (გფბ) თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი ჰენრი ფრიზი დააკავა. მას ერთ-ერთი უცხო სახელმწიფოსთვის სამხედრო ხასიათის საიდუმლო ინფორმაციის მიყიდვა ჰბრალდება.

ჯერჯერობით ამ სახელმწიფოს არ ასახელებენ. არც იმის დაკონკრეტება ხდება, თუ რა სახის ინფორმაციაზეა საუბარი.

აშშ-ის იუსტიციის სამინისტრომ მომხდართან დაკავშირებით განცხადება გააკეთა. მასში ნათქვამია, რომ მალე საზოგადოება შეიტყობს ყველაფერს, კერძოდ, იმასაც, თუ რომელ ქვეყანაზე მუშაობდა ფრიზი.

# ზელენსკი: „ტრამპი ჩემს დაშანტაჟებას არ ცდილობდა“



უკრაინის პრეზიდენტ ვლადიმირ ზელენსკის თქმით, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ივლისში სატელეფონო საუბრის დროს ან სექტემბერში შეხვედრისას მის დაშანტაჟებას არ ცდილობდა.

მან სატელეფონო საუბრისას არ იცოდა, რომ შტატებმა უკრაინას სამხედრო დახმარება შეუწყვიტა, ხოლო როდესაც ამის შესახებ თავდაცვის მინისტრისგან გაიგო, საკითხი შტატების ვიცეპრეზიდენტ მაიკ პენსთან პოლონეთში შეხვედრის დროს წამოჭრა.

შეგახსენებთ, შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატამ პრეზიდენტ დონალდ ტრამპის იმპიჩმენტის მოთხოვნა წამოაყენა მას შემდეგ, რაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ პრეზიდენტმა უკრაინელ კოლეგას სავარაუდო საპრეზიდენტო კანდიდატის, ჯო ბაიდენის ოჯახის წინააღმდეგ გამოძიების დაწყება მოსთხოვა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**



# სიძემ საცოლისთვის საქორწინო ბეჭდის საყიდლად ბანკი გაძარცვა

ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ გროვტონში სასიძომ ქორწილამდე ერთი დღით ადრე ბანკი იმისთვის გაძარცვა, რომ საქორწინო ბეჭედი ეყიდა.

პარასკევ დილით ჰიტ ედვარდ ბამპუსი სითიზენ სთეით ბანკში შევარდა და მისთვის ნაღდი ფულის მიცემა მოითხოვა. მამაკაცმა მოლარე გააფრთხილა, რომ შეიარაღებული იყო. მისი თქმით, მან ბანკი გაძარცვა ქორწილის გამო, რომელიც მეორე დღისთვის იყო დაგეგმილი. მისი განმარტებით, მას საქორწინო ბეჭდის შესაძენად ფული არ ჰყოფნიდა.

პოლიციის მონაცემებით, შეიარაღებული ძარცვის შემდეგ ბამპუსმა თავისი ტანსაცმელი ავტომობილის ფანჯრიდან გადაყარა. მალე პოლიციელებმა კანონდამრღვევის ნივთები და პისტოლეტი იპოვეს.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა სათვალთვალო კამერების ჩანაწერები ამოიღეს და ისინი ფეისბუქში ოფიციალური ჯგუფის გვერდზე განათავსეს. ვიდეოჩანაწერი ბამპუსის საცოლემ ნახა და დაჟინებით მოსთხოვა, პოლიციას თავადვე ჩაჰბარებოდა. მამაკაცი მას დაემორჩილა და დანაშაული აღიარა.

პოლიციის წარმომადგენლის თქმით, ბამპუსმა გატაცებული თანხის დიდ ნაწილი დააბრუნა. მამაკაცი სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე პატიმრობაშია აყვანილი. მას დამამძიმებელ გარემოებაში ძარცვის ბრალდება აქვს წაყენებული.

# 107 წლის ქალმა საკუთარი დღეგრძელობა გაზიანი სასმელების სიყვარულით ახსნა



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ტამპას მცხოვრები დღეგრძელი ქალბატონი საკუთარი დღეგრძელობის საიდუმლოდ „კოკა-კოლას“ მიიჩნევს, რომელსაც ის ყოველდღე სვამს.

ფრენსის ბრასის რამდენიმე დღის წინ 107 წელი შეუსრულდა. მოხუცებულთა სახლში, სადაც ის ცხოვრობს, მისი დაბადების დღის პატივსაცემად წვეულება გაიმართა და მასზე ფოტოგრაფი მიიწვიეს, რომელმაც საზეიმოდ გამოწყობილ და მორთულ იუბილარს სურათები გადაუღო.

ბრასი 1912 წელს დაიბადა. ის ბევრს მოგზაურობდა, იმყოფებოდა სამხრეთ ამერიკასა და აზიაში და დღემდე ინახავს სუვენირებს, რომლებიც მან ჩინეთში მოგზაურობიდან ჩამოიტანა. 1980 წელს ის პენსიაზე გავიდა და ფლორიდაში გადაბარგდა, ხოლო ოთხი წლის წინ მოხუცებულთა სახლში მოეწყო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

## განცხადებები

### იყიდება

● იყიდება მსხმოიარე ვენახი 0,5 ჰექტარი, ვენახში არის ჩინურის, თავკვერის და ალადასტურის ჯიშის ყურძენი. თბილისიდან 35 წუთის სავალზე, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში. ნაკვეთთან ახლოს გადის გზა, წყალი, გაზი და სინათლე. გამოდგება მარნის მოსაწყობად. 1 კვ.მ ფასი 12 ლარი. ტელ: 593 127337; 593 515603.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● დიაბეტური დაავადებების, ხერხემლის გამრუდების, ბავშვებში ბრტყელტერფიანობის, ყურებში შუილის, სმენის დაქვეითების მკურნალობა. მოგემსახურებათ გაეროს სერტიფიკატის მფლობელი ექიმი თამარ შავერდოვა. ტელ: 579-281-766.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# დუდუ დადიანის თასი თსუ-მ ჩაიბარა




**თსუ-ბათუმი 87:69**

დუდუ დადიანის თასის მფლობელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი გახდა. ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილმა გუნდმა სეზონის პირველი ტურნირი ერთი ამოსუნთქვით მოიგო. მემორიალური ტურნირის 4-ვე შეხვედრა თსუ-მ ისე მოიგო, მეტოქისთვის მცირედი შანსიც არ მიუცია, რაც დამსახურებულად დაფასდა თასით, რომელიც უნივერსიტეტის გუნდისთვის სეზონის წინ დიდი მოტივაციისა და სტიმულის მიმცემი იქნება.

ფინალურ მატჩში თსუ-ელებმა არანაკლებ ძლიერი ბათუმი 87:69 დაამარცხეს. თანაბარი მხოლოდ პირველი პერიოდი გამოდგა, რომელიც 18:18 დასრულდა. მეორე მეოთხედში თამაში გიორგი კორსანტიას მშვენიერი გარჯის ხარჯზე გაიხსნა, რომელმაც სამწამიან ზონასა და მის მისადგომებთან მეურვეები დაჯაბნა და თსუ-ს წინ გაჭრის საშუალება მისცა. უნივერსიტეტელებმა ათწუთეული 24:8 მოიგეს და დიდ შესვენებაზე 16-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ – 42:26.

მატჩის ბედიც, ფაქტობრივად, აქ გადაწყდა. მე-2 ნახევარში თსუ-მ მეტი აქცენტი დაცვაზე გადაიტანა, რითაც მეტოქეს ქულების მოპოვების საშუალება მაქსიმალურად შეუზღუდა, ამასობაში მიზანი გაეხსნა სტუდენტების ამერიკელ ლეგიონერ რიკი მედისონს, რომელმაც სნაიპერული თვისებები გამოავლინა და მეორე ნახევარში პირად ანგარიშზე 16 ქულა ჩაიწერა. ძალიან სარგებლიანი იყო კრისტოფერ ანდერსონი, რომელიც ბურთსაც გონივრულად ათამაშებდა და შეტევაშიც ყოჩაღობდა. ყველაფერმა ამან ის შედეგი გამოიღო, რომ ბათუმელებმა დარჩენილ დროში ვერაფერი შეცვალეს. თსუ მშვიდად მივიდა გამარჯვებამდე და დუდუ დადიანის თასიც ღირსეულად მოიგო.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა გიორგი კორსანტია, რომელმაც ტურნირის მვპ-ის ტიტულიც დაიმსახურა. მის ანგარიშზე 20 ქულა და 10 მოხსნა დაგროვდა. 20 ქულა, 6 მოხსნა და 6 პასი მიითვალა კრის ანდერსონმა, ხოლო რიკი მედისონმა პირად ანგარიშზე 18 ქულა ჩაიწერა. ბათუმელთაგან 15 ქულით ჯუნიუს პროველი გამოირჩა, 11 ქულა და 8 მოხსნა ლევან ელიაძის ანგარიშზეა.

მატჩის შემდეგ გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი, რომელსაც დამსახურებული სპორტული კომენტატორი და ყველასთვის კარგად ნაცნობი ჯამლეტ ხუხაშვილი გაუძღვა. ტურნირის საუკეთესო მოთამაშის პრიზი გიორგი კორსანტიას დუდუ დადიანის ძმისშვილებმა – სანდრომ და ანდრიამ გადასცეს. თსუ-ელთა კაპიტანმა, გიორგი კორსანტიამ ჩაიბარა დუდუ დადიანის თასიც, რომელიც უნივერსიტეტელებისთვის პირველია. მემორიალის ფინალში თსუ აქამდე სამჯერ იყო, თუმცა 2002, 2005 და 2009 წლებში სტუდენტურმა გუნდმა ტიტულის მოგება ვერ შეძლო. მეოთხე ცდაზე, ლექსო ლაფანაშვილისა და ირაკლი ძიძიგურის წინამძღოლობით, თსუ დუდუ დადიანის თასს პირველად დაეპატრონა.

# საქართველო ირლანდიისთვის სრული შემადგენლობით ემზადება



საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ირლანდიის მეთერთმეტე დაპირისპირება „დინამო არენაზე“ ხვალ შედგება. ჯგუფის ლიდერთან მატჩისთვის საქართველოს ნაკრები 7 ოქტომბრიდან არასრული შემადგენლობით ემზადებოდა. მთავარი მწვრთნელის განკარგულებაში გუშინ უკვე 23 ფეხბურთელი იყო. საწვრთნელი შეკრების ფარგლებში გუნდმა დილის ვარჯიში სრული დატვირთვით ჩაატარა.

სავარჯიშო პროცესის დასრულების შემდეგ კი, ფეხბურთელებმა თავისუფალი დრო გამოიყენეს და ეროვნული ნაკრების 3 წევრი, გიორგი ქვილითაია, გიორგი აბურჯანია და გიორგი ლორია თბილისის 157-ე საჯარო სკოლას ესტუმრნენ. ფეხბურთელებმა სკოლის მოსწავლეების შეკითხვებს უპასუხეს და საქართველო-ირლანდიის მატჩზე დაპატიჟეს.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ეროვნული ნაკრების მოთამაშეებმა ირლანდიასთან და გიბრალტართან დაგეგმილი მატჩების შესახებ ისაუბრეს:

**გიორგი ქვილითაია:**

– რა თქმა უნდა, ირლანდია უხერხული მეტოქეა და, სამწუხაროდ, მათთან ჯერ არ მოგვიგია. მიმდინარე წელს ბოლო საშინაო მატჩის გამართვა სწორედ მათ წინააღმდეგ გვიწევს და, იმედი მაქვს, რომ ჩვენს გულშემატკივართან ერთად ირლანდიის დამარცხებასა და 3 ქულის მოპოვებას შევძლებთ. რაც შეეხება ჩემს სათამაშო ფორმას, საბედნიეროდ ტრავმა აღარ მაწუხებს და ოპტიმალურ ფორმასთან ახლოს ვარ. აქედან გამომდინარე, იმედი მაქვს, რომ ეროვნულ ნაკრებს ჩემი შედეგიანი თამაშით დავეხმარები.

**გიორგი აბურჯანია:**

– ირლანდია ჩვენთვის რთული მეტოქეა, ვფიქრობ, დადგა დრო, რომ ირლანდიის წინააღმდეგ წარმატებით ვითამაშოთ და გულშემატკივარი გავახაროთ. წინ 2 მნიშვნელოვანი თამაში გველის, ჩვენი სურვილია, რომ მიმდინარე წლის ბოლო საშინაო მატჩი სასურველი შედეგით დავასრულოთ. მსურს, რომ გულშემატკივარს მოვუწოდო მოვიდნენ სტადიონზე და მხარი დაგვიჭირონ. ეროვნული ნაკრების თითოეული ფეხბურთელისთვის მათი მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია.

კიდევ ერთხელ საქართველოს ნაკრების შემადგენლობა:

**მეკარეები:** გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მაკარიძე (სეტუბალი, პორტუგალია), ლაზარე კუპატაძე (საბურთალო);

**მცველები**: ოთარ კაკაბაძე (ლუცერნი, შვეიცარია), გურამ კაშია (სან ხოსე, აშშ), სოლომონ კვერკველია (ლოკომოტივი, რუსეთი), დავით ხოჭოლავა (შახტარი, უკრაინა), გია გრიგალავა (არსენალი, რუსეთი), ჯიმი ტაბიძე (უფა, რუსეთი), გიორგი ნავალოვსკი (დინამო ბთ);

**ნახევარმცველები**: ჯაბა კანკავა (ტობოლი, ყაზახეთი), ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), ვაკო გვილია (ლეგია, პოლონეთი), საბა ლობჟანიძე (რანდერსი, დანია), გიორგი აბურჯანია (ტვენტე, ჰოლანდია), ჯანო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი), თორნიკე ოქრიაშვილი, მურთაზ დაუშვილი (ორივე ანორთოსისი, კვიპროსი), ლევან შენგელია (ქონიასპორი, თურქეთი), გიორგი ხარაიშვილი (გეტებორგი, შვედეთი), ვაკო ყაზაიშვილი (სან ხოსე, აშშ);

**თავდამსხმელები**: გიორგი ქვილითაია (გენტი, ბელგია), ელგუჯა ლობჯანიძე (თარაზი, ყაზახეთი).

შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და ირლანდიის ეროვნული ნაკრებების დაპირისპირება თბილისის „დინამო არენაზე“ ხვალ 17:00 საათზე დაიწყება.

# ლევან კობიაშვილმა ტორპედოს ფეხბურთელებს ერთი თვის ხელფასი გადაუხადა

ქუთაისის ტორპედომ სოციალურ ქსელში კლუბში არსებული სიტუაციის შესახებ განცხადება გაავრცელა.

კლუბის წერს, რომ მათ მხარში უდგანან ფეხბურთის ფედერაცია და სფფ-ის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი. გთავაზობთ კლუბის განცხადებას უცვლელად:

– კლუბში შექმნილი გაუსაძლისი პირობების გამო ტორპედოს ფეხბურთელებმა ვარჯიში შეწყვიტეს. ტორპედოში ფინანსურმა პრობლემამ თავი თვეების წინ იჩინა, რის გამოც ფეხბურთელთა დიდმა ნაწილმა კლუბი დატოვა. მოვიდნენ ახალი ფეხბურთელები, გუნდმა გააგრძელა ჩემპიონატში ასპარეზობა. მიუხედავად არაერთი პრობლემისა, ყოველთვის თავის ინტერესზე მაღლა გულშემატკივრისას აყენებდა... დრო გადიოდა, პრობლემები კი, რჩებოდა!

გვსურს ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია აქტიურადაა ჩართული ტორპედოს ყოველდღიურობაში. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კლუბი დღემდე კერძო მფლობელობაშია და ფეხბურთის ფედერაცია არაა ვალდებული, ფინანსურად დაგვეხმაროს, ტორპედო კი, მათგან დახმარებას ყოველდღე გრძნობს.

თამაშიდან თამაშამდე, იქნება ეს ტრანსპორტირება, სასტუმროში დაბინავება თუ სხვა, სფფ ტორპედოს ეხმარება. გარდა ამისა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, ლევან კობიაშვილის მხრიდან იყო ფინანსური დახმარებაც, რითაც ფეხბურთელებს ერთი თვის ხელფასი დაურიგდათ, მაგრამ... არაა ფეხბურთის ფედერაცია ის, ვინც ტორპედო მთელი წელი უნდა აფინანსოს და ეს კარგად გვესმის!

დღეს კლუბი ახალი ინვესტორის ძიებაშია. ინვესტორის ძიების პროცესში აქტიურადაა ჩართული ქუთაისის მერია. ვიმედოვნებთ, რომ უახლოეს პერიოდში მოიძებნება ადამიანი, ვისაც ფეხბურთი უყვარს და ტორპედოს ამ მდგომარეობიდან გამოიყვანს. სხვა შემთხვევაში, არათუ წარმატება, არამედ არსებობაც წარმოუდგენელია!

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

## მაყვალა ხარებავას

## გახსენება



ჩვენო ძვირფასო ადამიანო, 1 წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან. ამ ერთ წელიწადში საშინელმა სიცარიელემ დაისადგურა შენს ოჯახში. საღამოს შენ რომ ბრუნდებოდი სამუშაოდან, ოჯახში სიხარული შემოგქონდა. შენ გარეშე ყველაფერი ეს წარმოუდგენელია.

შენ ყველასგან გამოირჩეოდი ნიჭიერებით, პრინციპული მიდგომით საქმისადმი და დაუღალავი შრომით. ამ ყველაფერს შენი შვილებისა და შვილიშვილების კეთილდღეობისათვის აკეთებდი, რომ მათ კარგად ეცხოვრათ მას მერე, რაც ჩვენი ნაშრომის დატოვება მოგვიხდა სოხუმში 1993 წელს.

შენი თავი ყოველთვის ბოლოს გახსენდებოდა და ამან შეიწირა შენი ფასდაუდებელი ცხოვრება.

ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს შენი სული და დაგიმკვიდროს სასუფეველი ცათა შინა!

**შენი მეუღლე მურად (პეტრე) ლატარია (გვარი ლატარიების საგვარეულოს წარმომადგენელი საპატრიარქოში), შვილები გიგა და ირაკლი ლატარიები ოჯახებითა და შვილებით**

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## კროსვორდი ბ




**შვეულად**: 1. საადგილმამულო-საკრედიტო დაწესებულება მე-19 საუკუნის საქართველოში; 2. ქალაქი ბელგიაში, სადაც განთავსებულია „ნატოს“ შტაბ-ბინა; 3. ოსმალთა სახელწოდება ევროპაში; 4. შვეიცარიელი მხატვარი; 5. რამის შემადგენელი ნაწილი; 10. შენობის, ნაგებობის შემცირებული ნიმუში, მოდელი; 11. პოპულარული პარკი თბილისში; 12. ქართულ მხატვრულ ფილმ „დაკარგული სამოთხის“ რეჟისორი; 13. აეროპორტი ბუქარესტში; 16. ქართველი მხატვარი, გობელენისტი; 17. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთა-მთიანეთში; 19. ჟანგბადის ნაკლებობით გამოწვეული სულის ხუთვა; 21. ისტორიული ციხე-სიმაგრე ქობულეთის მახლობლად; 23. ვინჩენცო ბელინის ოპერა.

**თარაზულად**: 6. პირველობა მეცნიერულ აღმოჩენაში; 7. თეთრი მელას ძველი ქართული სახელწოდება; 8. სპეციალური სათხილამურო ფეხსაცმელი; 9. ქართველი ნიჩბოსანი, ევროპის ჩემპიონი; 14. სიმღერის შესრულების იტალიური სტილი; 15. ეკლესიის მნათეს ძველი სახელწოდება; 18. მონასტერი ოჩამჩირის რაიონში; 20. გადასახდელი სახურავის მქონე ძველებური ეტლი; 22. ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 24. კონიაკის მწარმოებელი უძველესი ფრანგული ფირმა; 25. შვეიცარიელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 26. თურქული აბანო.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. აცტეკა; 2. სოჭი; 3. ტახომეტრი; 4. ბასრა; 5. კაპრიზი; 8. პრერია; 9. კაკაფონია; 12. იშხანი; 14. ალმასი; 16. იტამი.

**თარაზულად:** 1. ანტრესოლი; 6. კალევალა; 7. ტყაპუჭი; 9. კულონი; 10. ხაში; 11. არაბიკა; 13. სიამი; 15. უშქარი; 17. დიპლომი; 18. ჯაპანა; 19. ოდისეა; 20. ჭიკარტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ვეჯვუდი; 2. საფიხვნო; 3. ალოტროპია; 4. ფეოდალი; 5. დეპორტაცია; 10. ნისანი; 11. ფეხბურთი; 12. იმერეთი; 13. დიზაჟიო; 16. პარამეტრი; 17. ჯაყელები; 19. ალტიტუდა; 21. სტეპი; 23. პუნში.

**თარაზულად:** 6. თედიაშვილი; 7. ლევანტე; 8. კულუხი; 9. ერდოგანი; 14. დილიჟანი; 15. პრეამბულა; 18. კათხა; 20. ბარტერი; 22. კოპტები; 24. ეტიუდი; 25. ოტოსკოპი; 26. ტოშიბა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


11 ოქტომბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9714

ევრო — 3.2766

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6388

100 რუსული რუბლი — 4.5624

## ამინდის პროგნოზი 11 ოქტომბერი







## 8 ოქტომბრიდან

საქართველოს ისტორია პატარებისთვის

**თამარს უამბო დედამა**

წიგნი II

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**




## 5 ნოემბრიდან

საქართველოს ისტორია პატარებისთვის

**ბაზალეთისა ტბის ძირას**

წიგნი III

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

## ნინო ბაშარული ისრაელში იმღერებს



მომღერალი ნინო ბაშარული ისრაელში კონცერტს გამართავს. ის მონაწილეობას მიიღებს ეინკერემის ფესტივალში:

– ბედნიერი ვარ, რომ მე და ჩემს ჯგუფს მოგვიწევს ისრაელში, კერძოდ, ეინკერემის ფესტივალზე კონცერტის გამართვა. ყველას გელოდებით 17 ოქტომბერს ეინკერემის ღია სივრცეში ჯადოსნური კომპოზიციების მოსასმენად, რომელთა არანჟირებაც ეკუთვნით ჩემი ჯგუფის უნიჭიერეს წევრებს, მუსიკოსებს დათო ლონდარიძესა და ნოდარ ექვთიმიშვილს.




## პანტომიმის თეატრს პრობლემებს უქმნიან

პანტომიმის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ ამირან შალიკაშვილის განცხადებით, თეატრს პრობლემებს გამიზნულად უქმნიან:

– სასწრაფო განცხადება! პანტომიმის სახელმწიფო თეატრს ჩაუჭრეს ინტერნეტი! მთელი სოც. ქსელი გათიშულია 3 დღეა და სპექტაკლები იხსნება! ეს არის სპეციალურად გაკეთებული საქმე, რადგან სილქნეტი იმისია, ვინც უკანონოდ ვითომ მიითვისა ჩვენი ტერიტორია!

გთხოვთ რეაგირებას შესაბამის სტრუქტურას, რადგან ეს დაიწყო ინტერნეტით და ხვალ გაგრძელდება სხვა მოქმედებებით!

მე ვარ ამირან შალიკაშვილი და მე ვერ მომერევით ვერანაირი მილიონებით!

მე მინდა თეატრი!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ასტროპროგნოზი



**11 ოქტომბრისათვის**

**ვერძი** – პასიური დღეა. თუ სისუსტეს გამოიჩენთ, ეს თქვენს წარმატებაზე უთუოდ აისახება. ზედმეტი მზრუნველობა ახლობლებისადმი საჭირო არ არის. **კურო** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. ეს დღე თქვენი შემოქმედებითი აღმავლობის დასაწყისია. სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. **ტყუპები** – აგრესიულობა და ლიდერობისკენ სწრაფვა კოლეგებთან და ახლობლებთან ურთიერთობას გაგიფუჭებთ. ამას შესაძლოა ფინანსური დანაკარგებიც მოჰყვეს. **კირჩხიბი** – ძალზე იღბლიანი დღეა, განსაკუთრებით – საჯარო მოხელეთათვის. ექსპერიმენტებისგან თავი შეიკავეთ. **ლომი** – კომერციული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. გარისკეთ. არ ინანებთ. ეს ყველაფერი თქვენს შემოქმედებით ზრდასა და ავტორიტეტზე დადებით გავლენას მოახდენს. **ქალწული** – მშობლებისა და ბავშვების მიმართ მეტი ლოიალობა გამოიჩინეთ. ეს დღე ერთგვარი გამოცდა იქნება. **სასწორი** – მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **მორიელი** – დაისვენეთ და გაერთეთ მშვიდ გარემოში. საღამოს საინტერესო ახალ ამბავს გაიგებთ. **მშვილდოსანი** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **თხის რქა** – ჯანმრთელობის მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ნერვებს გაუფრთხილდით და ნუ გადაიღლებით. ეცადეთ, იყოთ დამოუკიდებელი და სიტუაცია თქვენ სასარგებლოდ მართოთ. **მერწყული** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **თევზები** – თუ საჭიროდ მიიჩნევთ, ბოდიშიც მოიხადეთ. დათმობა, მიმტევებლობა, ლოიალობა დღის დევიზია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ბიჭო, შენი ცოლი სექსის დროს ყვირის?

– მასეც ხდება ხოლმე... მაგალითად, ბოლოს ისე ყვიროდა, რომ მთელი სადარბაზო ფეხზე დააყენა, როდესაც მეზობელ ლამარასთან შემისწრო...

•••

უფროსი თავის მძღოლს ეუბნება:

– 50 ლარს მოგცემ, თუ სადგურზე ჩემს სიდედრს დახვდები.

– და თუ არ ჩამოვიდა?

– მაშინ ორჯერ მეტს მოგცემ.

•••

კურორტზე მამაკაცმა ქალი გაიცნო. პირველ საღამოს ის ხელზე მოეფერა, მეორე დღეს იდაყვამდე ავიდა. ქალმა ვეღარ მოითმინა და ეუბნება:

– თქვენი აზრით, მე აქ სამი თვით ვარ ჩამოსული?

•••

ინტერნეტში ვკითხულობ სტატუსს:

– თუ თქვენს ცოლს თავი სტკივა, შუბლზე იტალიური ჩექმები მიადეთ და გაუვლის.

კომენტარი:

– და ხელის მოქნევით თუ როგორ?...

•••

ქალიშვილი მამას ეუბნება:

– მამა, მე გივის ცოლად არ გავყვები.

– რატომ, შვილო?

– ის ათეისტია და ჯოჯოხეთის არსებობის არ სჯერა.

– შვილო, შენ ცოლად გაჰყევი და დედაშენი აზრს ნამდვილად შეაცვლევინებს.

•••

გოგონა მოხუც მამაკაცს ეუბნება:

– ბაბუა, შარვლის კარი ღია დაგრჩენიათ...

– შვილო, როდესაც სახლში მიცვალებული ასვენია, კარს ყოველთვის ღიას ტოვებენ...

## რაკიტიჩი, შესაძლოა, ბარსელონიდან წავიდეს



ბარსელონის ხორვატმა ნახევარმცველმა ივან რაკიტიჩმა განაცხადა, რომ თუ სათამაშო პრაქტიკა არ მოემატება ბარსელონაში, გუნდს დატოვებს.

რაკიტიჩის თქმით, მას სურს ფეხბურთის თამაში და, თუ ბარსელონაში არ მისცემენ ამის საშუალებას, მაშინ სხვა კლუბში გადავა:

– ბარსელონაში ცხოვრება ძალიან მომწონს, მაგრამ ჩემთვის ეს საკმარისი არ არის და მინდა, რომ ვითამაშო. ახლა რთულ მდგომარეობაში ვარ და, თუ არაფერი შეიცვალა, მაშინ გუნდის დატოვებაზე ვიფიქრებ.

წლევანდელ სეზონში რაკიტიჩი ესპანეთის ჩემპიონატში ბარსელონის სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ ერთხელ გამოვიდა.

## მოურინიომ ლიონს უარი უთხრა



ლიონის პრეზიდენტმა ჟან მიშელ ოლასმა განაცხადა, რომ ლიონმა ჟოზე მოურინიოს მთავარი მწვრთნელობა შესთავაზა, მაგრამ ჟოზემ უარი განაცხადა.

ოლასის თქმით, მოურინიოს ის პირადად ესაუბრა, თუმცა პორტუგალიელი სპეციალისტის დარწმუნება ვერ შეძლო.

ასევე გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოურინიომ თავისი მომავალი გუნდი უკვე აირჩია და ამ გუნდის შესახებ უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

თვითონ ჟოზე ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებს.

## გარეტ ბეილი: „ემოციებს ვერ ვუმკლავდები“

მადრიდის რეალის ვინგერმა გარეტ ბეილმა თავისი კარიერის რთული ეტაპები გაიხსენა და თქვა, რომ ზოგჯერ მოედანზე სიბრაზესა და ემოციებს ვერ უმკლავდება.

ბეილის თქმით, ემოციები ზოგჯერ ეხმარება, მაგრამ ძირითადად ხელს უშლის:

– როდესაც მოედანზე ხარ, ცივი გონებით უნდა ითამაშო, მაგრამ ეს ყოველთვის არ გამომდის. ზოგჯერ ემოციები მჯობნის და მათ ვერაფერს ვუხერხებ. ეს განსაკუთრებით მაშინ ხდება, როდესაც რაღაც არ გამომდის.

ბეილის რეალიდან წასვლაზე ზაფხულში ხშირად საუბრობდნენ, მაგრამ საბოლოოდ ის მადრიდში დარჩა.

## ნეიმარმა ბრაზილიის ნაკრებში მეასე შეხვედრა ჩაატარა



პსჟ-სა და ბრაზილიის ნაკრების ფორვარდმა ნეიმარმა ეროვნული გუნდის მაისურით მე-100 შეხვედრა ჩაატარა.

ეს სენეგალის წინააღმდეგ შეხვედრაში მოხდა, რომელიც 1:1 დასრულდა.

ნეიმარი ამ მაჩვენებლით რობინიოს გაუთანაბრდა და, თუ გავითვალისწინებთ ნეიმარის ასაკს, ის აუცილებლად გაასწრებს რობინიოსაც და სხვა ფეხბურთელებსაც.

ნეიმარს ნაკრებში უკვე 61 გოლი აქვს გატანილი, რაც ასევე ერთ-ერთი საუკეთესო შედეგია.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## ირაკლი ჟვანიას გია ყანჩელის გამო „მუსიკოსების“ შადრევნის დიზაინის შეცვლა სურს

მოქანდაკე ირაკლი ჟვანიას კომპოზიტორ გია ყანჩელის გამო ვაკეში მდებარე „მუსიკოსების“ შადრევნის დიზაინის შეცვლა სურს:

– რამდენიმე თვის წინ, როდესაც მუსიკოსების რეაბილიტაციის პროექტზე ვმუშაობდით, მინდოდა, ბატონი გიას მუსიკით გაგვეხსნა ეს კომპოზიცია მისი თანდასწრებით, მაგრამ არ დაგვცალდა...

რასაკვირველია, მოვა დრო, როდესაც გია ყანჩელის ძეგლი დაიდგმება თბილისშიც და სხვაგანაც, მაგრამ, ახალი კანონმდებლობით, რომელიც ხალხის მსახურებმა იღვაწეს და შეიმუშავეს, 20 წელი უნდა გავიდეს იქამდე, სანამ ადამიანის წასვლიდან შესაძლებელი იქნება მისი ასეთი სახით პატივისცემა...

ვფიქრობ, ამ წლების გასვლა არ



არის საჭირო იმისათვის, რომ საქართველომ დააფასოს ეს გენიალური მუსიკოსი...

სწორედ ამიტომ მინდა, „მუსიკოსების“ შადრევნის დიზაინი ნაწილობრივ შეიცვალოს და ის მიეძღვნას გია ყანჩელის ხსოვნას, რაც გამოიხატება არა ძეგლის აღმართვაში, არამედ შადრევნის თავისებურ მხატვრულ გადაწყვეტაში, ასევე მუსიკალური გაფორმებით ბატონი გიას ნაწარმოებებიდან.

იქნებ ამ მოედანს ბატონი გიას სახელი დაერქვას.

მგონია, რომ საზოგადოებას მოეწონება ეს იდეა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მოთელილი მატყლისგან დამზადებული თბილი მოსასხამი; 2. დამხმარე თეორემა მათემატიკაში; 3. გერბების შემსწავლელი დისციპლინა; 4. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 5. ცხვრის ხორცისგან მომზადებული წვნიანი კერძი; 8. ცნობილი ფრანგი ძიუდოისტი მამაკაცი; 9. კაფებარი საცეკვაო მოედნით; 12. იაპონური იეროგლიფების სახელწოდება; 14. ლიტერატურული პრემია ბრიტანეთში; 16. რაიონული ცენტრი სამეგრელოში.

**თარაზულად:** 1. ქართული მინერალური წყალი; 6. ისტორიული სასტუმრო ნიცაში; 7. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი თურქეთში; 9. ფულის ერთეული ერაყში; 10. ტბა გაგრის ნაკრძალში; 11. აეროპორტი ბუქარესტში; 13. ქალაქი არაბთა გაერთიანებულ ემირატებში; 15. მწვავე ირონია, დაცინვა; 17. კუნძულოვანი სახელმწიფო კარიბის ზღვაში; 18. შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრული სტილი დასავლეთ ევროპაში; 19. ხმელეთში ღრმად შეჭრილი ზღვის ვიწრო ზოლი; 20. ბუღალტერიაში, შემოსავალ-გასავლის შეფარდებითი ჯამი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

